პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 170 (11781)

კვირა, 24 ივლისი 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს მხურვალედ გამოეხმაურა ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი. საბჭოთა ადამიანები დიდი სიხარულით აღნიშნავენ, რომ პარტიის მიერ დასახული შვიდწლიანი გეგმა წარმატებით სრულდება. ეს კი ნიშნავს, რომ პარტიის XXI ყრილობის მიერ მიღებული კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გრანდიოზული პროგრამა ხორციელდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ შვიდწლიანი გეგმის განხორციელებაში მიღწეული წარმატებანი მოწმობენ მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონის ამაღლებას. პარტიული ორგანიზაციები უფრო ღრმად სწვდებიან საწარმოთა მუშაობას, კონკრეტულად და მიზნიანად წყვეტენ ტექნიკური პროგრესის, პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს, რაც დამახასიათებელი ხდება მეტი წილი პარტიული ორგანიზაციებისათვის. ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული ორგანიზაციების მიერ კონტროლის უფლების განხორციელების კომისიები, რომლებიც შექმნილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ხელს უწყობენ შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომ ზრდას, დისციპლინის განმტკიცებასა და საწარმოთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის გაძლიერებას სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისა და ათვისებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მაღალი შეფასება მიეცა ნოვოკრამატორსკის ქარხნის, მოსკოვის საქალაქო სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათსაშენებლო ქარხნების, ომსკის რკინიგზისა და სხვა მოწინავე საწარმოთა გამოცდილებას, რომელთა კოლექტივები გამოვიდნენ შემოქმედებითი თაოსნობით, რაც აჩქარებს წარმოების ტექნიკურ სრულყოფას.

პლენუმმა ურჩია მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს ყველგან გაავრცელონ ეს გამოცდილება. მოწონებულია აგრეთვე ქალაქ მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკის, დნეპროპეტროვსკისა და მთელი რიგი სხვა ქალაქების საწარმოთა, პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციათა ინიციატივა ახალი შინარეზერვების გამონახვისა და გამოყენების საქმეში.

გააუმჯობესეს რა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მასებში, პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შეძლეს ფართოდ გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის. სულ უფრო ფართოდ ვითარდება კომუნისტური შრომის კოლექტივებისა და დამკვრელების პატრიოტული მოძრაობა.

განაზოგადა რა შვიდწლედის შესრულებისათვის ბრძოლის უდიდესი გამოცდილება, პარტიამ დასახა მრეწველობის, ტრანსპორტის შემდგომი განვითარებისა და წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვის კონკრეტული ამოცანები.

ახლა, ნათქვამია პლენუმის დადგენილებაში, **როცა მთელი საბჭოთა ხალხი მტკიცედ იბრძვის შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, როცა წარმოებს სახალხო მეურნეობის უდიდესი მასშტაბით აღჭურვა მოწინავე ტექნიკით, კიდევ უფრო იზრდება პარტიული ორგანიზაციების როლი სამეურნეო მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების გადაჭრაში; პარტიული ორგანიზაციები ღრმად, კონკრეტულად, საქმის ცოდნით უნდა მუშაობდნენ მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაობის საკითხებზე, გადაჭრით იბრძოდნენ კონსერვატიზმისა და ჩამორჩენილობის წინააღმდეგ, ყოველი ღონისძიებით უჭერდნენ მხარს ნოვატორებს, წარმოების მოწინავეებს და ფართოდ ავრცელებდნენ მათს გამოცდილებას.**

ახლანდელ პირობებში ყველა პარტიულ კომიტეტს მოეთხოვება უფრო ფართო და ქმედითი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მასებში, უნარი სათავეში ჩაუდგეს მშრომელთა გაზრდილ აქტივობასა და ინიციატივას, რომლის მიზანია შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულება, ტექნიკური პროგრესის ტემპის შემდგომი დაჩქარება, მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება. და პირველი გადაუდებელი საქმეა ფართოდ განვუმარტოთ კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი და მასალები, ჩავუნერგოთ ყოველ მშრომელს მისწრაფება ახალი შემართებისა და გმირობისადმი, დავეხმაროთ ყოველ ადამიანს განსაზღვროს თავისი ახალი ზღუდეები. პარტიული ორგანიზაციების მთელი ორგანიზატორული საქმიანობის მთავარი აზრი და უმნიშვნელოვანესი მიზანია პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა უთუო შესრულება. ამისათვის საჭიროა ლენინური საქმიანობით, კონკრეტულობით და მიზანსწრაფვით მუშაობაში უზრუნველვყოთ მთელი რეზერვებისა და შესაძლებლობების ათვისება, რომლებიც აქვს ჩვენს ეკონომიკას. პარტიული ორგანიზაციების ცენტრალური ამოცანაა

**ПРАВДА**

**23 ივლისის მოწინავე**

გამოავლინონ და გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, რათა დააჩქარონ სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვა, ჩვენი ქვეყნის შემდგომი ელექტროფიკაცია, საწარმოთა სპეციალიზაციისა და კოოპერირების განხორციელება, ყველგან დანერგონ შრომისა და წარმოების რაციონალური მეთოდები, განამტკიცონ სამშენებლო წარმოების ინდუსტრიული ბაზა, განუწყვეტლივ აუმჯობესონ ხარისხობრივი მაჩვენებლები მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა რგოლში, ყოველი ღონისძიებით გააფართოონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილების შესრულების სწორად მოწყობა ნიშნავს სანიმუშოდ მოგვარდეს ყოველ პარტიულ ორგანიზაციაში მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი და შემოწმება, განმტკიცდეს კავშირი მასებთან. პარტიული ორგანოები მოვალენი არიან კვალიფიციურად ერკვეოდნენ წარმოების ტექნიკასა და ეკონომიკაში, უნარიანად არჩევდნენ და ანაწილებდნენ კადრებს, სრულყოფდნენ მუშაობის სტილსა და მეთოდებს. ყოველი დიდი და პატარა პარტიული მუშაკის მოვალეობაა შეიტანოს საწარმოო კოლექტივში შემოქმედებითი შრომისა და აღმავლობის სულისკვეთება, მუდამ იყოს ცხოვრების შუაგულში, მეტი ურთიერთობა ჰქონდეს და ეთათბირებოდეს მასებს, მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, განუმარტავდეს მათ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, ეხმარებოდეს და შვიდწლედის სამსახურში აყენებდეს მათს შემოქმედებით ჩანაფიქრებს.

პარტიული ორგანოები მოწოდებული არიან გააძლიერონ მომთხოვნელობა წარმოების ხელმძღვანელი კადრებისადმი, ჩაუნერგონ მათ უმკაცრესი პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა, შეურიგებლობა ნაკლოვანებებისადმი.

პარტიული კომიტეტების მუშაობა მრეწველობისა და ტრანსპორტისადმი ხელმძღვანელობაში წარმოუდგენელია, თუ ისინი არ ეყრდნობიან პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, სადაც იჭედება შვიდწლედის შესრულების წარმატება, თუ განუწყვეტლივ არ მაღლდება მათი აქტიურობა, არ ვითარდება მათი დამოუკიდებლობა და ინიციატივა, არ მაღლდება მათი მაორგანიზებელი როლი წარმოებაში.

შვიდწლედის გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში მძლავრი ძალაა მილიონიანი მასების სოციალისტური შეჯიბრება. რაც უკეთ განახორციელებენ პარტიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობას შეჯიბრებისადმი, გააფართოებენ მის გაქანებას, უზრუნველყოფენ მის საჯაროობას, შეუქმნიან მშრომელებს ნაკისრ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების ყველა პირობას, მით უფრო სწრაფად დაამთავრებს საბჭოთა ხალხი დიად პროგრამას, რომელიც სკკპ XXI ყრილობამ დასახა. პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა აქტიურად მხარი დაუჭირონ და განავითარონ შეჯიბრება ეკონომიურ რაიონებს შორის, საერთო კუთვნილება გახადონ მოწინავე კოლექტივებისა და წარმოების ნოვატორების ძვირფასი გამოცდილება, ამრავლონ კომუნისტური შრომის კოლექტივები და დამკვრელები, ვალენტინა გაგანოვას სახელოვან მიმდევართა რიგები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად მასების მობილიზაციაში უდიდესი როლი ეკუთვნით საბჭოთა პროფკავშირებს. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ პროფკავშირული ორგანიზაციები ყოველი ღონისძიებით ახდენდნენ გავლენას მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარებაზე, უფრო ინიციატივიანად და მტკიცედ ახორციელებდნენ მათთვის მინიჭებულ უფლებას — მონაწილეობა მიიღონ წარმოების მართვაში, მეტს ზრუნავდნენ შრომის დაცვისა და მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის. პარტიული ორგანიზაციების მუდმივი მხარდაჭერა ესაჭიროება ჩვენი ახალგაზრდობის მასობრივ მოძრაობას უახლესი ტექნიკის, ცოდნისა და კულტურის დაუფლებისათვის, მეტალურგიული, ქიმიური, ნავთობის, გაზის მრეწველობის და რკინიგზის ტრანსპორტის უმნიშვნელოვანესი ობიექტების მშენებლობის დაჩქარებისათვის, დახმარება ესაჭიროება კომკავშირის შეფობას ცემენტის მრეწველობისა და შედუღების წარმოების განვითარებისადმი.

ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა დავაჩქაროთ სკკპ XXI ყრილობის მიერ დასახული ამოცანის — კვალიფიციური კადრებით ჩამორჩენილ საწარმოთა განმტკიცების ამოცანის გადაჭრა, წავახალისოთ გამოცდილ ხელმძღვანელთა გადასვლა წარმოების ჩამორჩენილ უბნებზე, უფრო გაბედულად დავაწინაუროთ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ახალგაზრდა ნიჭიერი სპეციალისტები.

შვიდწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, როგორც ხაზგასმულია ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში, პოლიტიკურ მუშაობას მასებში. საქმე ეხება იმას, რომ პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები მტკიცედ იბრძოდნენ იმისათვის, რომ მასობრივ-პოლიტიკური საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირონ ცხოვრებას, მრეწველობისა და ტრანსპორტის მძლავრი აღმავლობის პრაქტიკული ამოცანების გადაჭრას, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში გაიშალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგების განხილვა. ეს საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ პარტიული აქტივის კრებები, პირველადი პარტორგანიზაციების კრებები გამსჭვალული იყოს ლენინური საქმიანობით, კონკრეტულობით, ყოველივე მოწინავისადმი მხარდაჭერისათვის ზრუნვით და ნაკლოვანებებისადმი, რუტინისა და უძრაობისადმი შეურიგებლობით.

კომუნისტები, კომკავშირელები, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელნი მებრძოლურად იღებენ შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს. მრეწველობისა და ტრანსპორტის ხელმძღვანელობის დაუცხრომელი სრულყოფით პარტიული ორგანიზაციები უზრუნველყოფენ შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებას, ახალ წარმატებებს მოიპოვებენ კომუნისტურ მშენებლობაში.

## რუსთავი — სუმგაითი

## გამოწვევა მიღებულია

ბაქო, 22 ივლისი. (საქდესის სპეც. კორ.). სუმგაითის მშრომელები დიდი სიხარულით შეხვდნენ თავიანთ რუსთაველ მეგობართა გამოწვევას — გაჩაღონ შეჯიბრება იმისათვის, რომ მათი ქალაქები გადაიქცეს კომუნისტური შრომისა და ყოფაცხოვრების ქალაქებად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა სუმგაითელებმა, პლენუმისა, რომელმაც მოუწოდა გაფართოვდეს კომუნისტური შრომის კოლექტივებისა და დამკვრელთა შეჯიბრება, გადაიქცეს ეს შესანიშნავი მოძრაობა საყოველთაო სახალხო მოძრაობად, მხურვალედ დაუჭირეს მხარი რუსთაველთა ინიციატივას. 20 ივლისს გაიმართა ქალაქის მშრომელთა საერთო საქალაქო მიტინგი. სინთეზური კაუჩუკის ქარხნის ს. ვურგუნის სახელობის კულტურის სასახლეში სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ შეიკრიბნენ მეფოლადეები, მგლინავები, ქიმიკოსები, მემონტაჟეები, ენერგეტიკოსები, რომლებიც აქ მოვიდნენ, რათა განეხილათ ქართველ მეგობართა გამოწვევა.

სიტყვები წარმოთქვეს ბლუმინგის ოსტატმა, კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირმა მ. სალამოვმა, ალუმინშენის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა უ. მუსაევმა, სინთეზური კაუჩუკის ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ პ. კირიჩუკმა, მილსაგლინავი ქარხნის დირექტორმა ი. სეიდოვმა, პარტიის სუმგაითის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. ალიევმა და სხვებმა. მათ ილაპარაკეს იმ დიდ მეგობრობაზე, რაც აკავშირებს სოციალისტურ ქალაქებს სუმგაითსა და რუსთავს — მოძმე რესპუბლიკების აზერბაიჯანისა და საქართველოს დიდმნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრებს.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი წერილი რუსთაველი მშრომელებისადმი, რომელშიც იუწყებიან, რომ იღებენ რუსთაველთა გამოწვევას.

## პლენუმის გადაწყვეტილებანი — ბროშურად

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოსცა ტექსტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებისა, „თუ როგორ სრულდება სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებანი მრეწველობის, ტრანსპორტის განვითარებისა და მეცნიერების და ტექნიკის უახლეს მიღწევათა წარმოებაში დანერგვის შესახებ“.

ბროშურაში დაბეჭდილია აგრეთვე რეზოლუცია კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა ბუქარესტის თათბირის შედეგების შესახებ, რომელიც ერთხმად მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1960 წლის 16 ივლისს.

ბროშურა მასობრივი ტირაჟით გამოვიდა. (საქდესი).

მურმან ლებანიძე



**საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისათვის**

როცა ქართველი ხალხის
აღორძინების ახლის,
როცა წითელი დროშის
ორმოცი წელი მოდის,
— წლები დახარჯე ომით!
— წლები სწავლით და შრომით!
მე ვეკითხები ჩემს თავს:
მითხარ, ცხოვრობდი როდის?

და ვუპასუხებ თვითონ
— გულო, იყუჩე, გულო!
შენი ოცნება იყო
ეს ნამგალი და ურო!
შენი ოცნება იყო
ურო-ნამგალთან ულო!
რაიღა გინდა მეტი —
გულო, იყუჩე, გულო!

და ვუპასუხებ კიდევ
წარბშეკვრითა და წყრომით:
ომით, ბრძოლით და შრომით
ვლიან გმირთათვის დღენი!
დღე შენ არ გახსოვს მშვიდი,
სწორედ ის შრომა დიდი,
სწორედ ის ბრძოლა დიდი
იყო ცხოვრება შენი!

არ დავუმალავ არვის —
წლებს გაუმარჯოს ჩავლილს!
წლებო, უთქვენოდ ვინ ვარ?
წლებო, უთქვენოდ რა ვარ?
მაგრამ კი იყო გრგვინვა!
მაგრამ კი იყო შეხლა!
რაც დავიბადე, ქვეყნად
ხმალშემართული დავალ!

რევოლუციურს, დიადს,
ჯერ არგაგონილს, ამაყს,
სჭედდა ქვეყანას ხალხი —
ირგვლივ გვეხვიენ ყეფით.
ყრმას ჩამყოლია სიზმრად,
დამსიზმრებია მზისფრად
თავთუხითა და ჯაგნით
გაბრწყინებული ღერბი.

„პრეზიდენტი რომ ვიყო, —
ვფიქრობდი ხშირად ბავშვი, —
წვეთს არ დავლევდი ღვინოს,
ცვარს არ დავლევდი, ცვარს!

სულ ვიქნებოდი ფხიზლად,
ხალხს ვედგებოდი მხარში,
სულ ზვრად ვაქცევდი
ქართლ-კახეთს,
მშობელ მთასა და ბარს.

გავაშენებდი ზღაპრულს
საქართველოში წალკოტს,
ვარდ-ყვავილებში ჩაფლულს
გავაშენებდი ბაღნარს...“
ასე ვფიქრობდი ბავშვი —
ბავშვი ვიყავი მაშინ,
მამული იყო ყრმისთვის
სუყველაფერზე მაღლა!

ხოლო მშობელი ხალხი,
თვისი ახალი დროშით,
მიაბიჯებდა ლაღი,
წარბშეკრული და მკაცრი.
იყო შენების წლები
და ცხადი ჰგავდა ზღაპარს,
და ხუთწლედების ჭაპანს
სწევდა ქართველი კაცი.

შენებისა და სწავლის
წლებს გაუმარჯოს ჩავლილს,
პირველ ჭესებს ჩახჩახს,
პირველ ბრძმედების ალმურს!
იყო სიმწიფის წლები
და კმაყოფილი ხმები
„მწიფე-მწიფეო!“ — ციდან
დაჭგრუტუნებდნენ მამულს.

მაგრამ მოვარდა მხეცი
სვასტიკითა და ცეცხლით,
მაგრამ ახალი წლები
სხვას გვიმზადებდა ხმებს:
ახლაც ზრიალებს ყურში,
თითქოს ჰქუხდაო გუშინ,
ის საშინელი ომი
ახლაც იმგვარად ჰყეფს.

შენ რესპუბლიკავ ტკბილო,
მიზეზო ჩვენი ლხენის,
თავშესაფარო ერის,
ქართული ენის ტკბილის,
არ შეგარცხვინეთ ომში,
შეურცხვენელი დროშით,
როგორც უვლია ქართველს,
წელგამართული ივლის.

ისევ ჩხრიალი არხის,
ისევ ზვარი და ყანა!
ისევ მშობელი ხალხის
აღორძინების ჰანგი!
წინ მიაბიჯებს ლაღი,
მიაქვს დროშების ჭალა,
მკერდზე მიუკრავს ქართველს
თავისუფლების ჩანგი.

უსაყვედურო იყოს
შენთვის დაღვრილი სისხლი,
ოფლად წასული წლების
ყოველი დღე და წამი!
წლებო, იდიდეთ, წლებო!
გასწით, გვატარეთ წინსვლით!
იდიდე, საქართველოვ,
გიდგას დიდების ჟამი!



# „მწვანე ოქროს“ ველიდან

**20 ივლისისათვის მოკრეფილია 101.957 ტონა — შარშანდელზე 11.375 ტონით მეტი ჩაის ნედლეული.**

„მწვანე ოქრო“ თანდათან ნამდვილ ოქროდ იქცევა ჩვენი სახელოვანი მეჩაიეების ხელში! გადაავლეთ თვალი ამ ძვირფასი კულტურის პლანტაციებს, ჩაუკვირდით იქ მომუშავე ადამიანთა შრომის შედეგებს, და ადვილად დარწმუნდებით ამაში!..

სტატისტიკური სამმართველოს მიერ გამოშვებული ცნობით, 20 ივლისისათვის ჩვენს რესპუბლიკაში მოკრეფილია 101.957 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ე. ი. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 11.375 ტონით მეტი. განა ეს ნამდვილი ოქრო არ არის!..

ჩვენმა მეჩაიეებმა წელს უდავოდ დიდი ვაჟკაცობა და გამბედაობა გამოიჩინეს, როცა პირობა მისცეს პარტიას, მთავრობას, რომ, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 138.000 ტონისა, მოკრეფენ და სახელმწიფოს მიჰყიდიან 145.000 ტონა ხარისხოვან ჩაის ნედლეულს. ეს ჭეშმარიტად საამაყო საქმეა და, როცა ყოველი ათი დღის შემდეგ სტატისტიკური სამმართველოს მიერ გამოშვებულ ცნობას დაჰყურებ და ანალიზს უკეთებ ამ ცნობაში მოყვანილ ციფრებს, გჯერა, რომ ქართველი მეჩაიეები პირნათლად გაანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

აჭარელ მეჩაიეებს წელს გეგმით უნდა მოეკრიფათ 23.600 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 20 ივლისისათვის უკვე მოკრეფილი აქვთ 17.996 ტონა, რაც წლიური გეგმის 76,3 პროცენტს, ხოლო ივლისის თვის — 78,7 პროცენტს შეადგენს. აფხაზეთში გეგმით უნდა მოეკრიფათ 22.730 ტონა, სეზონის დაწყებიდან 20 ივლისისათვის მოკრიფეს 16.974 ტონა ნედლეული, ე. ი. წლიური გეგმა შეასრულეს 74,7, ხოლო ივლისის გეგმა 76,0 პროცენტით.

მეჩაიეობის რაიონები ასეთ სურათს გვაძლევენ: 20 ივლისისათვის ჩოხატაურის რაიონს წლიური გეგმა შესრულებული აქვს 79,5 პროცენტით, ივლისისა — 82,1 პროცენტით, მახარაძის რაიონს წლიური გეგმა — 77,3 პროცენტით, ივლისისა — 75,2 პროცენტით, გალის რაიონს წლიური გეგმა — 74,0 პროცენტით, ივლისისა — 79,0 პროცენტით, წყალტუბოს რაიონს წლიური — 79,8 პროცენტით, ივლისისა — 93,7 პროცენტით, ზუგდიდის რაიონს წლიური — 67,5 პროცენტით, ივლისისა — 75 პროცენტით და ა. შ.

ეს ციფრობრივი და პროცენტული მონაცემები ნათლად მეტყველებენ ქართველი მეჩაიეების თავდადებულ შრომაზე. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ შეიძლება ჩაის კრეფის აღებული ტემპით დავკმაყოფილდეთ. საჭიროა კიდევ უფრო გავაძლიეროთ „მწვანე ოქროს“ ნედლეულის აღება, მივაღწიოთ იმას, რომ დღეს ვიმუშაოთ უკეთ, ვიდრე გუშინ. ასეთი შრომა ახალ წარმატებათა თავდებია.

* * *

ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მეჩაიემ ლიანა დადიანმა ვალდებულება იკისრა ნაცვლად 2.200 კილოგრამისა მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 4 ათასი კილოგრამი ჩაის ნედლეული. იგი ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს.



სურათზე: ლ. დადიანი.

ფოტო ი. სეფიაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## საკოლმეურნეო ველებისაკენ

**თავთავიანი** კულტურების მოსავლის აღების დაწყებამდე ხაშურის რაიონის კოლმეურნეები გაეცნენ წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორთა პატრიოტულ თაოსნობას. ხაშურელებმა გადაწყვიტეს წითელწყაროელთა მაგალითისამებრ შვიდწლედის მეორე წლის მოსავალი აიღონ ათ სამუშაო დღეში.

ხაშურელები თავდადებული შრომით ცდილობენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. 16 ივლისს შეუდგნენ თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებას და ოთხ დღეში 400 ჰექტარამდე პური მომკეს.

სოფელ ხცისის კოლმეურნეობაში პურის აღებაზე მუშაობს კომბაინერი ოთარ ლომიძე, ის მოსავლის აღებას 22 ივლისიდან შეუდგა. პირველ ორ დღეს 34 ჰექტარზე მომკა ყანა და 544 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

## ისრაელის ჯარების პროვოკაციები

დამასკო, 23 ივლისი. (საქდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის I არმიის სარდლობის წარმომადგენელმა გაზეთა განცხადება პრესისათვის, რომ ისრაელის ჯარები განაგრძობენ პროვოკაციულ მოქმედებას არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ისრაელის ჯარებმა ისარგებლეს იმით, რომ I არმია ემზადებოდა 1952 წლის რევოლუციის დღესასწაულისათვის, 22 ივლისს დილით ჩაუსაფრდნენ და სროლა აუტეხეს სირიის მესაზღვრეთა პატრულს. სირიის პატრული, ნათქვამია განცხადებაში, იძულებული გახდა საპასუხო სროლა აეტეხა. ამ სროლის შედეგად ისრაელის მხარეს დანაკარგი აქვს.

# დიდი შრომითი წარმატება

**საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომის მდივანს ამხანაგ ს. ფ. ჭკადუას**

**მესტიის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ ა. ი. ჩარკვიანს**

**საქართველოს ალკკ მესტიის რაიკომის მდივანს ამხანაგ მ. ს. უშხვანს**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომით წარმატებებს — სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 148,0 პროცენტით და რძისა 106,0 პროცენტით შესრულებაში.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის, კოლმეურნეობათა შემდგომი ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ მაღალი მთის რაიონის მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა საზოგადოებრივი მეცხოველეობა გახდეს მეურნეობის დიდშემოსავლიანი და პროდუქტიული დარგი.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** — **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

**საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომის მდივანს ამხანაგ გ. დ. შონიას**

**წალენჯიხის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ე. ზარანდიას**

**საქართველოს ალკკ წალენჯიხის რაიკომის მდივანს ამხანაგ კ. კ. წულაიას**

**წალენჯიხის რაიონის ყველა მშრომელს**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომით წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 102,2 პროცენტით, კვერცხისა — 101,4 პროცენტით, პირველი გამოკვების აბრეშუმის პარკისა — 100,3 პროცენტით, დაფნის ფოთლისა — 200,0 პროცენტით, კურკოვანი ხილისა — 100,0 პროცენტით, რძის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმის 125,2 პროცენტით შესრულებაში. სახელმწიფოს მიეყიდა 218 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

ჩაის ფოთლის კრეფასა და სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვაში განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს სოფელ ჯგალის (თავმჯდომარე ილიკო ივანეს-ძე კვარაცხელია), წალენჯიხის (თავმჯდომარე ვლადიმერ ჯოგოს-ძე ზარქუა), ჯგალის (თავმჯდომარე ლევან ბეგის-ძე ფიფია), ლიის (თავმჯდომარე ვარლამ დიტოს-ძე კვარაცხელია) და სხვა კოლმეურნეობებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, აბრეშუმის, ხორცის, რძის, კვერცხისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების 1960 წლის დიდი ვალდებულებანი, რომლებიც თქვენ იკისრეთ, წარმატებით იქნება შესრულებული.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** — **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

**საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის მდივანს ამხანაგ დ. ხ. საბაშვილს**

**ლანჩხუთის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ მ. კ. ვადაჭკორიას**

**საქართველოს ალკკ ლანჩხუთის რაიკომის მდივანს ამხანაგ ბ. უ. მოისწრაფიშვილს**

**ლანჩხუთის რაიონის ყველა მშრომელს**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომით წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 103,6 პროცენტით, რძისა — 100,1 პროცენტით, კვერცხისა — 101,5 პროცენტით, აბრეშუმის პარკისა — 100,2 პროცენტით, დაფნის ფოთლისა — 123,8 პროცენტით შესრულებაში, სახელმწიფოს მიეყიდა 830 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა თავდადებული შრომის შედეგად, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის, კოლმეურნეობათა შემდგომი ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საქმეში განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს სოფელ ქვემო აკეთის (თავმჯდომარე ნესტორ ათანასეს-ძე ღლონტი), მამათის (თავმჯდომარე ვლადიმერ ხარლამის-ძე გოგუაძე), ლესის (თავმჯდომარე არტემ ევსეევის-ძე ლომაძე), ეწრის (ქრისტეფორე ერასტოს-ძე მანწკავა) და სხვა კოლმეურნეობებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, აბრეშუმის, ხორცის, რძის, კვერცხისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების 1960 წლის დიდი ვალდებულებანი, რომლებიც თქვენ იკისრეთ, წარმატებით იქნება შესრულებული.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** — **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

## ფიზკულტურელის სრულიად საკავშირო დღის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს წინადადება, რომ ფიზკულტურელის დღის სრულიად საკავშირო დღესასწაულის თარიღი გადატანილ იქნას 18 ივლისიდან აგვისტოს მეორე შაბათს.

## საკირმანის განთავისუფლება

ჯაკარტა, 23 ივლისი. (საქდესი). ანკარის სააგენტოს ცნობით, ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი საკირმანი, რომელიც შინ ბინაზე დააპატიმრეს რამდენიმე დღის წინათ, გუშინ გაათავისუფლეს.

## ჩაიშუშა რაკეტა „ატლასის“ გაშვება ამერიკაში

ნიუ-იორკი, 23 ივლისი. (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ვანდენბერგის (კალიფორნია) სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზიდან იუწყება, სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა „ატლასი“, რომელიც 22 ივლისს ნაშუადღევს გაუშვეს, მოსპობილ იქნა მას შემდეგ, რაც ასცდა კურსს.

სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობის მოკლე ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია: „რაკეტა „ატლასი“, რომელიც გაუშვა სტრატეგიული ავიაციის ჯგუფეულმა, მოსპო უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებელმა პოლიგონის ოფიცერმა, როცა რაკეტა კურსს ასცდა“.

„ნავარაუდევი იყო, — თქვა სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცერმა, — რომ იგი საკონტინენტთაშორისო ფრენას მოაწყობდა“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასე ემზადება ჩემი სამშობლო

საბჭოთა საქართველოს ორმოცი წელი, ორმოცი მზიანი გაზაფხული — ეს იქნება დიდი ეროვნული დღესასწაული, შემოქმედებითი შრომისა და გამარჯვების ზეიმი.

ამ ზეიმისათვის ემზადება ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხე, ამ დღისთვის დედა-სამშობლოს ძვირფას საჩუქრებს უმზადებენ მუშები, კოლმეურნეები, კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები — ნათელი მომავლის მშენებელი ადამიანები.

რამდენი რამ აქვს საამაყო ამ ზეიმისათვის ჩემს ხალხს: ქართული ფოლადი, ქართული ავტომობილი, მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები, უმდიდრესი მიწის წიაღი... ახალი ქალაქები და სოფლები, სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები...

სად არ იგრძნობა ეპოქის მძლავრი მაჯისცემა.

მყინვართან თუ უზბასთან, ლიახვის ნაპირზე თუ ენგურის ხეობაში, გურიის მარადმწვანე სერებზე თუ რიონის დაბლობში, ალაზნის თვალწარმტაც ველზე თუ მესხეთის მოქარგულ მიწაზე, ზემო იმერეთის ხოდაბუნებში თუ ქართლის ბარაქიან ველზე — ყველგან ხიბლავს ადამიანს შემოქმედებითი შრომის სიდიადე, საქართველოს კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევები და წარმატებები.

მშრომელთა შემოქმედებითს შრომასა და გამარჯვებაზე მოგვითხრობს ჩვენი გაზეთის ეს გვერდი.

## როგორ ემზადებით საბჭოთა საქართველოს იუბილესათვის?!

### ქრონიკები

☐ **სოხუმი.** (საკ.კორ.) აფხაზეთის მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად.

განსაკუთრებით ნაყოფიერი მუშაობა გააჩაღა ამ მიმართულებით სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივმა. რეპერტუარში შეიტანა ისეთი ახალი სპექტაკლები, რომლებიც ფართოდ ასახავენ აფხაზეთის მშრომელთა მიღწევებს საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში. ახალი რეპერტუარიდან თეატრის კოლექტივმა უკვე განახორციელა რამდენიმე დადგმა.

ამჟამად აფხაზური დრამის დასი ამზადებს დრამატურგ მიხეილ ლაკერბაის პიესას — „მასთან უნდა მოლაპარაკება ლენინს".

☐ **სტალინირი.** (საკ. კორ.). საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციები საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აწყობენ ლექციების ციკლს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობაზე, ქართველი ხალხისა და საქართველოს კომპარტიის ბრძოლაზე მეფის ხელისუფლებისა და მენშევიკების წინააღმდეგ. სოფლის კულტურის კერებში — ბიბლიოთეკებსა, კლუბებსა და სამკითხველოებში მოწყობილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენები.

☐ **ქუთაისი,** (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-40 წლისთავისათვის.

პოლიტიკური განათლების კაბინეტის ერთ-ერთ დიდ დარბაზში მოეწყო საიუბილეო გამოფენა.

„ქუთაისი წინათ და ახლა", — ასეა დასათაურებული ცალკე სტენდი.

გამოფენაზე წარმოდგენილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის მონაწილეთა ფოტოსურათები. ცალკე სტენდები მოგვითხრობენ ქალაქის მშრომელთა თავდადებულ ბრძოლაზე შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის.

## დედაქალაქის ნოგათი

**ა. მელაძე,**
თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

★

კიდევ შვიდიოდე თვე და ვიდღესასწაულებთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორმოცე წლისთავს. ამ დიად დღესასწაულზე თბილისელები, ისევე, როგორც მთელი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები შეაჯამებენ თავიანთ ისტორიულ წარმატებებს, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში თბილისი, ერთ დროს მეფის რუსეთის ვაჭრებისა და მოხელეების ქალაქი, გადაიქცა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს სამრეწველო, სამეცნიერო და კულტურულ ცენტრად.

ქალაქში აშენდა უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ასობით დიდი სამრეწველო საწარმო, გაფართოებული და რეკონსტრუირებულია ბევრი ძველი ქარხანა და ფაბრიკა. შექმნილია მძიმე მრეწველობის ახალი დარგები, განვითარდა მსუბუქი, საფეიქრო და კვების მრეწველობა.

თბილისის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვება 1959 წელს 1913 წელთან შედარებით 59-ჯერ გაზარდა. უკანასკნელ წლებში შეიქმნა მრეწველობის კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი დარგი — სამშენებლო ინდუსტრია, რომელიც ხელს უწყობს საბინაო და სამოქალაქო მშენებლობის მნიშვნელოვან დაჩქარებას.

დიდი მასშტაბით გაიშალა საბინაო მშენებლობა. სახელმწიფო ორგანიზაციებმა ააშენეს ათასობით ახალი სახლი. გარდა ამისა, ბევრი საცხოვრებელი სახლი აშენდა მოქალაქეთა სახსრებით და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით.

სულ უფრო შორს იწევს ქალაქის ძველი საზღვრები. საბურთალოს ჭაობის ამოშრობამ, რომელიც მალარიის კერას წარმოადგენდა, შესაძლებელი გახადა გამოგვეყენებინა ეს ვრცელი რაიონი მასობრივი მრავალსართულიანი საბინაო მშენებლობისათვის.

მკვეთრი ცვლილებები მოხდა ქალაქის ძველი უბნების გაშენებაშიც. რეკონსტრუირებული და გაფართოებულია ლენინის, სადგურის, მარჯანიშვილის, კარლ მარქსის, საკოლმეურნეო მოედნები, შელიქიშვილის, ჩელუსკინელთა, ოქტომბრის, ბარათაშვილის, შაუმიანის, მიასნიკოვის, გორგასალის და სხვა ქუჩები. რუსთაველისა და პლეხანოვის პროსპექტებს შემატა მთელი რიგი დიდებული, მონუმენტური შენობები. გაყვანილია ახალი მაგისტრალები — ვარაზისხევის, ვაკე-საბურთალოს შემაერთებელი გზა, ელბაქიძის დაღმართი, მოსკოვის პროსპექტი.

ქალაქი დაამშვენა მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა, საზოგადო და სამხედრო მოღვაწეთა, გამოჩენილ მწერალთა მონუმენტებმა და ძეგლებმა.

მდინარე მტკვარზე ქალაქის ცენტრში აგებულია ექვსი თანამედროვე ხიდი, ხოლო მის ნაპირებზე დაჭიმულია ბეტონში ჩასმული, მოასფალტებული, გამწვანებული სანაპიროები. ორთაჭალჰესის აგების შემდეგ მდინარე მტკვარი ჩელიუსკინელთა ხიდიდან ჰესის კაშხალამდე სანაოსნო გახდა სამდინარო გემებისათვის და ვარგისია წყალჯომარდობისათვის.

ქალაქში გაშენდა ათობით ახალი კეთილმოწყობილი პარკი, ბაღი და სკვერი, ქუჩებში, საცხოვრებელი სახლების ეზოებში და სამრეწველო საწარმოთა ტერიტორიაზე დარგულია მილიონობით ხე და ბუჩქი.

წელს მარტო საქალაქო საბჭოს აღმასკომს გათვალისწინებული აქვს საექსპლოატაციოდ გადასცეს 115.785 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ანუ 23.051 კვადრატული მეტრით მეტი, ვიდრე შარშან. გარდა ამისა, ქალაქში განზრახულია დაახლოებით 20 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი საექსპლოატაციოდ გადასცენ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა საკუთარი სახსრებით და საკავშირო ორგანოების დაფინანსებით.

დასახულია და უკვე ხორციელდება დიდი სამუშაოები წყალმომარაგების არსებული წყაროების რეზერვების უფრო სრულად გამოყენებისათვის. წელს რეალიზებულ იქნება 19,7 პროცენტით მეტი წყალი, ვიდრე 1959 წელს.

მნიშვნელოვანი სამუშაოები სრულდება საკანალიზაციო და ღვარსაშვები მეურნეობის გასაფართოებლად. ფართო ფრონტით წარმოებს ქალაქის გაზიფიკაციის სამუშაოები. მიმდინარე წლის დამლევამდე ბუნებრივ გაზს მიიღებს ქალაქის უდიდესი სამრეწველო რაიონების — ლენინისა და 26 კომისრის რაიონების ყველა ძირითადი საწარმო, აგრეთვე თბილისელთა 10 ათასი ბინა.

უახლოეს წლებში უნდა განხორციელდეს კიდევ უფრო დიდი მასშტაბის სამუშაოები, რაც ჩვენს ქალაქს კიდევ უფრო კეთილმოწყობილს და ლამაზს გახდის. თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს ერთ მილიონ ხუთასი ათასზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ანუ სამნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1952-1958 წლებში. ეს საშუალებას მოგვცემს მივუახლოვდეთ ბინებით ქალაქის ყველა მშრომელის უზრუნველყოფის ამოცანის სრულ გადაჭრას.

კიდევ უფრო გაფართოვდება ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი. აშენდება ახალი სკოლები და საბავშვო ბაღები, საავადმყოფოები და პოლიკლინიკები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და სასპორტო-ფიზკულტურული ნაგებობანი.

საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის პარტიის თბილისის კომიტეტმა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტეს განახორციელონ საქალაქო მეურნეობის განვითარების 1960 წლის გეგმით გათვალისწინებულს გარდა დამატებითი ღონისძიებანი საბინაო-კომუნალური, სოციალურ-კულტურული მშენებლობისა და ქალაქის კეთილმოწყობისათვის.

გარდა ამისა, დასახულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს შვიდი საცხოვრებელი კორპუსი მეექვსე საცხოვრებელ უბანში დიღმის მასივზე ნაცვლად 1960 წლის გეგმით გათვალისწინებული ერთი კორპუსისა. ნაკისრია ვალდებულება დამთავრდეს ათიათასადგილიანი სპორტის სასახლის მშენებლობა.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა გმირთა მოედანს, რომელიც სწრაფად მზარდი საბურთალოს რაიონის თავისებური ჭიშკარი და ლენინისა და სტალინის რაიონების ვაკის რაიონთან შემაერთებელი კვანძია, მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება, როცა დამთავრდება სპორტის სასახლის მშენებლობა, „ქარიშხალას" სტადიონის გაფართოება და ზამთრის საცურავი აუზის აგება. ამ მოედანზე განზრახულია აიგოს „დიდების" ძეგლი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისათვის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის აღსანიშნავად, აგრეთვე განხორციელდეს კეთილმოწყობის სხვა სამუშაოები.

დაგეგმილია დამთავრდეს ვაკეში „ქარიშხალას" სტადიონის რეკონსტრუქცია. ეს სტადიონი გადაიქცევა ჩვენი რესპუბლიკის ყველაზე დიდ სპორტულ ნაგებობად. მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში განზრახულია დამთავრდეს ვაკეში ზამთრის საცურავი აუზის აგება, რომელიც საუკეთესო საჩუქარი იქნება ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

ლენინის მოედანზე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შენობასთან და ლენინის ქუჩაზე ბაზრის პირდაპირ აიგება მიწისქვეშა გადასასვლელები. 26 კომისრის რაიონში კეთილმოწყობილი იქნება № 3 და № 4 გაშენებული უბნები ყოფილი აეროდრომის ტერიტორიაზე. იქ განზრახულია მიწისქვეშა კომუნიკაციების გაყვანა, მაგარი საფარი გაუკეთდება მისასვლელ გზებსა და ქუჩებს, განხორციელდება გზების, ქუჩებისა და სახლების ეზოების გამწვანება.

დიდად მოსახერხებელი იქნება თბილისელებისათვის დიდუბე-საბურთალოს საჰაერო საბაგირო გზა, რომელსაც ექნება ჩასაჯდომი მოედნები და კეთილმოწყობილი მისასვლელები. ეს გზა დიდმნიშვნელოვანი სატრანსპორტო საშუალება იქნება, რომელიც შეაერთებს ლენინის, სტალინისა და ორჯონიკიძის რაიონებს.

განზრახულია ავჭალის გზატკეცილისა და მისი მიწისქვეშა კომუნიკაციების რეკონსტრუქცია, რომლის სამუშაოების ღირებულება 22 მილიონ მანეთზე მეტია. ეს საკმაოდ დიდი სამუშაოა. განზრახულია აგრეთვე დამთავრდეს კარლ მარქსის სახელობის ხიდის რეკონსტრუქციის ძირითადი სამუშაოები, მიმდინარე რემონტი გაუკეთდეს ასფალტის საფარს რუსთაველის პროსპექტზე და ლენინის მოედანზე. სულ ქალაქში წლიური გეგმის გადამეტებით მოასფალტებული იქნება 300 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი.

ჩვენი ქალაქის მშვენება იქნება ზ. ფალიაშვილის, გურამიშვილის, გრიბოედოვის, 300 არაგველის ძეგლები, რომელთა დადგმა განზრახულია ღირსშესანიშნავ დღესასწაულამდე.

დიდი ყურადღება მიექცევა ქუჩებისა და მოედნების გარეგნულ გაფორმებას. გადაწყდა გაძლიერდეს მთავარი მაგისტრალების გარეთა განათება, რისთვისაც გამოყენებულ იქნება სინდიყის ლუმინესცენციური და დღის სინათლის ლამპები. ქუჩებში და მოედნებზე დაიდგმება ლამპიონები. ფართოდ დაინერგება მოცულობითი გაზშუქრეკლამები, სარეკლამო ტუმბოებს გაუკეთდება საათები, განახლდება ავტომატური ტელეფონის კიოსკები, გაკეთდება სპეციალური ფარები სანახაობით საწარმოთა აფიშების გასაკრავად. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ქუჩების გამწვანებას, პარკების, ბაღებისა და სკვერების გამდიდრებას ნარგავებით.

იუბილეს წინ მოეწყობა საიუბილეო სამეცნიერო სესიები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

შემოქმედებითი კავშირების საიუბილეო პლენუმები;

ლექციები და მოხსენებები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 40 წლისთავისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავის შესახებ;

მხატვრული თვითმოქმედების საქალაქო დათვალიერება და კინოსურათების ფესტივალი, ფილმების ჩვენება ქუჩებში და მოედნებზე;

სიმღერის დღესასწაული მხატვრული კოლექტივების მონაწილეობით;

დიდი სპორტული დღესასწაული „დინამოს" სტადიონზე და სპორტის სასახლეში, საქალაქო და რესპუბლიკური სპარტაკიადები და სხვა მასობრივი სპორტული ღონისძიებანი;

დღესასწაული „ქარიშხალას" სტადიონზე, აგრეთვე წყალჯომარდობა მტკვარზე და თბილისის ზღვაზე.

გათვალისწინებულია გამოიცეს მოკლე ცნობარები „თბილისი", „თბილისის ისტორიულ-რევოლუციური ადგილები", „თბილისის კულტურის ძეგლები" და ტექსტები ლექციებისა თემაზე „საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი თბილისი საბჭოთა ხელისუფლების წლებში".

მოეწყობა გამოფენები, რომლებიც ასახავენ თბილისის განვითარებას საბჭოთა საქართველოს 40 წლის მანძილზე, ფოტოგამოფენები „ძველი და ახალი თბილისი", აგრეთვე ფოტოვიტრინები და სტენდები ქალაქის დიდ საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, კლუბებში, ბიბლიოთეკებში, ცენტრალურ ქუჩებში და მოედნებზე.

გაიხსნება გამოფენა „რესპუბლიკის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა საბჭოთა ხელისუფლების 40 წლის მანძილზე", აგრეთვე გამოფენა თემაზე „ინდუსტრიული მეთოდების დანერგვა მშენებლობაში".

გამოშვებულ იქნება საიუბილეო ნიშნები, სუვენირები, სხვადასხვა ნაკეთობანი თბილისის ხედებით, აგრეთვე სამრეწველო პროდუქცია ემბლემით „საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავი", განხორციელდება აგრეთვე მთელი რიგი სხვა ღონისძიებები.

ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მთელი არსებული რეზერვები და შესაძლებლობანი, რათა პირნათლად შევასრულოთ ნაკისრი დამატებითი ვალდებულებანი თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარების დარგში, ღირსეულად შევხვდეთ ქართველი ხალხის დიდ სასიხარულო დღესასწაულს — საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 40 წლისთავს!

## ოცი წლის შემდეგ

ამას წინათ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შეხვედრა ჩვენი რესპუბლიკის სუბტროპიკული რაიონების სპეციალისტებთან. 20 წლის ნაყოფიერი შრომის შემდეგ თბილისში ჩამოვიდნენ და თავიანთ აღმზრდელ ინსტიტუტს ესტუმრნენ 1940 წელს კურსდამთავრებულები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი შეხვედრა გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ი. სარიშვილმა.

1940 წლის კურსდამთავრებულთა სახელით მოხსენება-პატაკით გამოვიდა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშაკი კურსდამთავრებული ბ. მეგრელიძე.

დამსწრეთ მიესალმნენ აგრონომი მ. ტაკიძე (მახარაძის რაიონის სოფელ ჯუმათის ი. ბ. სტალინის სახელობის მოწინავე კოლმეურნეობა), სამკურნალო მცენარეთა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ქობულეთის ფილიალის დირექტორი უ. მეფარიშვილი, ჩხოროწყუს ინსპექტორ-აგრონომი რ. შენგელია.

სტუდენტთა სახელით სპეციალისტთა ოცი წლის წინანდელ ნაკადს მიესალმა აგრონომიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის ფრიადოსანი სტუდენტი გ. ჭკუასელი. „ჩვენ, სოფლის მეურნეობის მომავალი სპეციალისტები, — თქვა მან, — პრაქტიკულ მუშაობაში ფართოდ გამოვიყენებთ აგრონომთა ძველი კადრების გამოცდილებას და ახალგაზრდულ წვლილს შევიტანთ სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაში".

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმნენ აგრეთვე დოცენტი მ. მჭედლიძე, პროფესორი ზ. იაკობაშვილი, რის შემდეგ შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა აკადემიკოსი ი. სარიშვილი, რომელმაც ახალი წარმატებები უსურვა სტუმრებს.

სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კაბინეტ-ლაბორატორიები და სასწავლო-საცდელი მეურნეობები დიღომსა და მუხრანში.



ქუთაისი: სტალინის ქუჩის ერთ-ერთი კუთხე.
ფოტო ე. ციციაშვილისა.



აკაკის ოცნებასავით „ხმელეთ-ზურმუხტიდან" „ცაფირუზისკენ" აპყრობილია ილიასავით უკვდავი მუხა. მის ნერგს, სანამ ნორჩი იყო, წარსულის ხან სუსხიანი ქარი ეხლებოდა, ხან გვალვა სიკვდილით ემუქრებოდა. მაგრამ იგი დარგული იყო ჩვენი წინაპრების ხელით — წარსულში, და მომავლის დროების მოღვაწეთ იგი რწყეს თავისი მხურვალე ოფლით... რწყავდნენ, სხლავდნენ, ფურჩქნიდნენ, უვლიდნენ, პატრონობდნენ. მისი ფესვებიც ვრცლად იკიდებდნენ ფეხს, მიიჭრებოდნენ ღრმად და შორს, ქართული ნოყიერი მიწის წვენით ნაკვებნი. ტანი ეყრებოდა ნერგს, კორძდებოდა, ფოლადდებოდა ქართან და სუსხთან შენაბრძოლები, მხრებს ძალუმად შლიდა ერის სულით ნალოლიავები. და ადიმართა ასე ფაზისის, იყალთოსა და გელათის ნამუხარებზე ტანაყრილი.

მისი ღონიერი ტოტები გაიშალნენ თბილისის ცის ქვეშ, გადასწვდნენ აღმოსავლეთით თელავს, გორსა და სტალინირს, დასავლეთით — ქუთაისს, ბათუმს, სოხუმს...

ლამპრად ანთებულს, სხივთა ძნად შეკონილს, სანთელს სანთელზე უკიდებდნენ, რომ შუქი მისი განვრცობილიყო სამშობლოს ყოველი კუთხით. მაგრამ არც ალი, არც სინათლე, არც სიცხოვლე მას არ მოჰკლებია, პირიქით, — შემატებია, რადგან ერთის ნაცვლად აგერ ათასმა სანთელმა იმასთან ერთად იწყო ლაპლაპი. იგი ამ ათასი მოლაპლაპე სანთლის კანდელია, დედათბილისის ბებერ და მაინც მარად ჭაბუკ მიწაზე ანთებული.

ეს მუხა — ილიას სიყვარულივით ერის გულში ფესვებჩახლართული, ეს ლამპარი — ათას ციცინათელად აკაკის ლექსებივით აკიაფებული, ეს აკვანი — ერის ძლიერი სულის საზრდოდ დარწეული, — თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტია — ცოდნის ტაძარი.

**ვლადიმერ თორდუა.**

* * *

**სურათზე:** სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ფოტო ს. ონანოვისა. (გადაღებული ვერტმფრენიდან).

## ქართულია? — კარგია!



— **ქართული** ელმავალი?!

— ქუთაისური ავტომანქანა?!

— თბილისური ჩარხები?!

ეს სიტყვები რომ ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ ვინმეს გაეგონა, ნამდვილად ზღაპრად ჩათვლიდა. არათუ ავტომობილი და ჩარხი, არამედ „კონკის" ვაგონებიც კი უცხოეთიდან შემოჰქონდათ.

მართლაც ვინ იფიქრებდა ამ ორმოციოდე წლის წინათ, რომ საქართველო — მეფის რუსეთის ჩამორჩენილი პროვინცია, სადაც ერთი ხეირიანი საწარმოც არ იყო, ინდუსტრიულ რესპუბლიკად გადაიქცეოდა. თუ წინათ საქართველოს მხოლოდ ღვინით იცნობდნენ, ახლა ჩვენი რესპუბლიკა გადაიქცა ლითონდასამუშავებელი ჩარხების, ფეროშენადნობების, ელექტროტექნიკური მოწყობილობის, ღვინისა და ჩაის მრეწველობისათვის საჭირო მანქანების, ზუსტი ხელსაწყოებისა და კიდევ მრავალი სხვა სახის სამრეწველო პროდუქციის ერთ-ერთ მსხვილ ექსპორტიორად. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს მშრომელთა ნახელავი მსოფლიოს ორმოცდაათზე მეტ სახელმწიფოში იგზავნება. მარტო გასულ წელს უცხოეთში გაიგზავნა ასობით მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. ახლა არავის აღარ უკვირს ჩარხზე ამოტვიფრული ქართული მარკა. პირიქით, ეს მარკა კარგა ხანია მაღალი ხარისხისა და სიმტკიცის სინონიმად გადაიქცა.

აღმოჩენის პირველი დღიდანვე შორს გაითქვა სახელი თავისი მაღალი ხარისხით ქართულმა მარგანეცმა. ასობით უცხოური გემი დატვირთულა ფოთის ნავსადგურში ჭიათურაში ამოღებული ძვირფასი მადნით. მაგრამ წინათ უცხოეთში გაგვქონდა მარგანეცი, სამაგიეროდ შემოგვქონდა იმავე მარგანეცისაგან დამზადებული ფეროშენადნობები. ახლა კი ზესტაფონელ მეტალურგთა გამოდნობილი ფეროშენადნობები სიმტკიცეს აძლევს მრავალ ქვეყანაში გამოდნობილ ფოლადს.

სულ სამიოდე ათეული წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამერიკელებს ჭიათურაში კონცესია ჰქონდათ და მარგანეცს იღებდნენ. მაშინ ამერიკელებს ალბათ ირონიულად გაეღიმებოდათ, ვინმეს რომ ეთქვა, მალე საქართველო თვითონ [illegible]ცევს ფეროშენადნობებად თავის მარგანეცსო, მაგრამ ახლა ჩვენ იმდენ ფეროშენადნობებს ვამზადებთ, რომ ამ ძვირფას ლითონს უცხოეთის ქვეყნებშიც ვგზავნით.



განა მხოლოდ მარგანეცი და ფეროშენადნობები? მარტო კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა რომ აიღოთ, ისიც საკმაო წარმოდგენას მოგცემთ საქართველოს და უცხოეთის ქვეყნების ეკონომიურ ურთიერთობაზე. იშვიათად გავა დღე, რომ ქარხნის ალაყაფის კარიდან არ გავიდეს უცხოეთში გასაგზავნი ჩარხებით დატვირთული ვაგონები. ჩარხებზე წაიკითხავთ მისამართებს: ინდოეთი, ჩინეთი, ფინეთი, ავსტრია, უნგრეთი და მრავალი სხვა.

ბევრი უშრომია ქარხნის მოწინავე ზეინკალს შოთა ფირცხალავას უცხოეთის შეკვეთების შესრულებაზე. ხშირად ღამეებიც გაუთენებია, როცა განსაკუთრებით საჩქარო დაკვეთაზე მუშაობდა. არაერთი სპეციალური ჩარხი აუწყვია მას ჩინელი მეგობრებისათვის. ქარხნის კოლექტივი ყოველთვის დიდი გულისყურით ეკიდება უცხოეთისათვის საჭირო მანქანების გაკეთებას. სამაგიეროდ არაერთი მადლობა მიუღიათ უცხოეთიდან კიროველებს. ყოველი ასეთი მადლობა ჩარხმშენებლების შრომის საუკეთესო დაფასებაა, ჩარხების მაღალი ხარისხის უტყუარი დადასტურებაა.

კიდევ მრავალი სახის პროდუქცია მიდის საქართველოდან უცხოეთის ქვეყნებში — აქ არის ლითონის მილები და ავტომანქანების სათადარიგო ნაწილები, მიწისსაწოვი მანქანები და ნავთობპროდუქტები, მაგნიტური გამშვებები და ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოები, პლასტმასის ნაკეთობანი, აბრეშუმის და შალის ქსოვილები. რაც შეეხება ქართულ ღვინოებსა და კონიაკებს, ჩაისა და თამბაქოს, მათი გემო და არომატი ხომ უკვე საქვეყნოდ არის ცნობილი.

შვიდწლედში ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა კიდევ უფრო გიგანტური ნაბიჯებით წავა წინ. ამასთან უფრო მრავალფეროვანი გახდება ის პროდუქცია, რომელიც უცხოეთში იგზავნება. მალე ალბათ უცხოეთის ვიზას მიიღებენ ქართული ელმავლები, ავტომანქანები, კაბელი და მრავალი სხვა. ალბათ მომავალშიც, როგორც დღეს, ყველგან, სადაც ახალ პროდუქცია მივა, იტყვიან: ქართულია? კარგია!

**შ. დავითური.**

## სულიერი საუნჯე

**ახლოვდება** საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავი. მთელი ქართველი ხალხი გაცხოველებით ემზადება ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის. მშრომელები ამრავლებენ წარმატებებს, ახალ საჩუქრებს უმზადებენ სამშობლოს. დიდი შემოქმედებითი პათოსია ჩვენს კოლექტივშიც — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში. ჯერ კიდევ შარშან ინსტიტუტის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ღია კრებამ იმსჯელა საიუბილეო თარიღისთვის მზადებაზე და მიიღო სათანადო დადგენილება (იგი ძირითადად ეხებოდა საიუბილეო თარიღისათვის გამოცემების დროულად მომზადებას). რამდენიმე ხნის შემდეგ კომუნისტები კვლავ შეიკრიბნენ პარტიული ორგანიზაციის ღია კრებაზე. ამჯერად უკვე შემოწმდა ადრე მიღებული დადგენილების შესრულება. ამასთან უფრო გულდასმით გადავხედეთ არსებულ შესაძლებლობებს. გამოიყო საიუბილეო კომისია, რომელსაც დაევალა კრების მიერ მიღებული დადგენილების განხორციელება.

გადაწყვეტილია 1961 წლის თებერვალში მოეწყოს ინსტიტუტის სპეციალური სამეცნიერო სესია, რომლის თემატიკა სრულად უნდა ასახავდეს ქართული საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერულ მიღწევებს როგორც ადრინდელი, ისე განსაკუთრებით საბჭოთა ქართული ხელოვნების შესწავლის საქმეში. ამავე თარიღს მიეძღვნება ინსტიტუტის შრომათა კრებულის — „ქართული ხელოვნების" VI ტომი. პარტიული კრების მითითების საფუძველზე რამდენიმე გადახალისდა ამ ტომის შინაარსი: მას დაემატა ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების და არქიტექტურისადმი მიძღვნილი თემები. ამჟამად ტომი უფრო სრულად ასახავს ინსტიტუტის მუშაობის პროფილსა და მიღწევებს. გადაწყდა აგრეთვე გამოსაცემად მომზადდეს ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ ინსტიტუტის დაარსებიდან ყველა დაბეჭდილი წიგნის, მეცნიერული ან პოპულარული სტატიების სრული ბიბლიოგრაფია (ქართულ, რუსულ და ერთ-ერთ უცხო ენებზე).

საბჭოთა საქართველოს სახელოვან დღესასწაულს ემთხვევა ჩვენი ინსტიტუტის 20 წლისთავი. ამიტომ სამეცნიერო სესია, შრომათა კრებულის VI ტომი და აღნიშნული ბიბლიოგრაფია ინსტიტუტის კოლექტივის ოცი წლის მუშაობის ერთგვარი ანგარიში იქნება. სავსებით ლოგიკურია, რომ საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის შექმნის დღიდან დაარსდა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, სადაც თავმოყრილია ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე შექმნილი ხელოვნების დიდი საგანძურის მეცნიერული შესწავლა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ინსტიტუტმა არა მარტო შეისწავლა ბევრი ცნობილი არქიტექტურული ძეგლი და მხატვრობის, ოქრომჭედლობის ნიმუშები, არამედ მიაკვლია მანამდე უცნობ ძეგლებსაც.

უკანასკნელი წლების მანძილზე ინსტიტუტი მეცნიერულად სწავლობს თანამედროვე ქართულ ხელოვნებას (არქიტექტურა, მხატვრობა, ქანდაკება და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგები). ამიტომ თანამედროვე, საბჭოთა ხელოვნების საკითხებზე მუშაობა ამჟამად ინსტიტუტის საქმიანობის ორგანული, განუყოფელი ნაწილია.

ინსტიტუტი, საგამომცემლო ბაზის სივიწროვის მიუხედავად, სათანადო ყურადღებას აქცევს მომზადებული გამოკვლევების დროულად და ხარისხიანად დასტამბვას.

წლითიწლობით იზრდება ინსტიტუტში მომზადებული და გამოცემული მეცნიერული ნაშრომების რიცხვი, მათი ხარისხი, გახშირდა აგრეთვე ინსტიტუტის თანამშრომელთა მონაწილეობა რესპუბლიკურ და საკავშირო ჟურნალ-გაზეთებში, შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობაში, დისკუსიებში და დისპუტებში. მაგრამ ინსტიტუტის კოლექტივს შეგნებული აქვს, რომ მას ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი. ამიტომ ღია პარტიულმა კრებამ გადაწყვიტა, რომ ინსტიტუტის სათანადო განყოფილებებმა მოამზადონ თემატური ლექცია-მოხსენებები ქართული საბჭოთა ხელოვნების ცალკეულ დარგთა მიღწევების შესახებ. ეს მოხსენებები წაკითხულ უნდა იქნას საწარმოო-დაწესებულებებში, სკოლებში და სხვ. საიუბილეო დღეებისათვის უნდა მომზადდეს აგრეთვე მეცნიერული და პოპულარული ხასიათის სტატიები ჟურნალ-გაზეთებისათვის, რადიო და ტელეგადაცემებისათვის. ასევე სათანადო მონაწილეობას მიიღებს ინსტიტუტის მხატვრობისა და ქანდაკების განყოფილება ქართველი მხატვრების 1961 წლის საიუბილეო გამოფენის მომზადებასა და გარჩევაში.

საიუბილეო დღეებისათვის გამოვა ინსტიტუტში მომზადებული რამდენიმე წიგნი, კერძოდ, პროფ. ვახტანგ ბერიძის მონოგრაფია „თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წ. წ.", წიგნი 1; ავტორთა ჯგუფის „თბილისის ხუროთმოძღვრება". გზამკვლევი (რუსულ ენაზე): თ. ბარნაველის, ვ. დოლიძისა და რ. შმერლინგის „თბილისის მიდამოების გზამკვლევი" და სხვ.

ჩვენი ინსტიტუტის ინიციატივით საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება საიუბილეო დღეებისათვის გამოიცეს ილუსტრირებული გზამკვლევი-სამახსოვროები ბიულეტენებისა და ცალკე წიგნაკების სახით ჩვენი დედაქალაქის სხვადასხვა ქუჩებზე, მოედნებზე, მემორიალურ და ისტორიულ ადგილებზე. მათი მომზადება იკისრა ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის კოლექტივმა.

**ს. კინწურაშვილი,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი.

## ზღვისპირა ქალაქში

**ჩვენი** რესპუბლიკის მომავალი იუბილესათვის მზადება ფართოდ არის გაჩაღებული კოლხიდის ზღვისპირა ქალაქში ფოთში. შექმნილია საქალაქო კომისია, რომელმაც შეიმუშავა სათანადო გეგმა.

ამ გეგმის საფუძველზე მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, კულტურის სახლში, კლუბებში ეწყობა თემატური გამოფენები „საქართველოს სს რესპუბლიკა", „ქალაქი ფოთი 40 წლის მანძილზე", „კოლხიდის ქალაქის შვიდწლედი". კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში მოეწყობა გამოფენა: „ეს დამზადებულია ქალაქ ფოთში". გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება იმ მრავალფეროვანი პროდუქციის ნიმუშები, რომლებსაც უშვებენ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქალაქ ფოთში აგებული მსხვილი საწარმოები — ჰიდრომექანიზმების ქარხანა, წისქვილკომბინატი, თევზკომბინატი, ნავსადგურის ცენტრალური სარემონტო-მექანიკური სახელოსნო, ტორფის ქარხანა, ღვინის, ლუდის, ლიმონათის, ტოლ-რუბეროიდის, საავეჯო-სახერხი ქარხნები, პურკომბინატი, ელექტროაპარატის და ელექტროგამაძლიერებელთა ქარხნები.

გამოფენაზე დიდი ადგილი დაეთმობა იმ გრანდიოზულ გარდაქმნათა ჩვენებას, რომლებიც განხორციელდა კოლხიდის დაბლობზე და განსაკუთრებით ქალაქ ფოთის მიდამოებში ჭაობების ამოშრობის შედეგად.

საწარმო-დაწესებულებებსა და საბჭოთა მეურნეობებში ლექცია-მოხსენებებთან ერთად მოეწყობა კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები ძველ კომუნისტებთან, საბჭოთა კავშირის გმირებთან და სოციალისტური შრომის გმირებთან, კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებთან. საკლუბო დაწესებულებებთან შექმნილი მხატვრული კოლექტივები ამზადებენ საინტერესო სიმღერებსა და ცეკვებს რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად.

მძლავრი გაქანება ეძლევა ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებს. მოასფალტდება და გამწვანდება ქალაქის ძირითადი ქუჩები, ცენტრალურ სკვერში აიგება დიდი შადრევანი, დახურული სასპორტო დარბაზი. საექსპლოატაციოდ გადაეცემა ნავსადგურის, წისქვილკომბინატისა და სხვა საწარმოთა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები.

**ჰ. კომახიძე.**



**სურათზე:** ფოთის ნავსადგურში.

# საერთაშორისო ცხოვრება

# კონგოში ბელგიელთა ინტერვენციის წინააღმდეგ

სოფლიოს მრავალი ქვეყნის საზოგა- ებრიობა და პრესა სოლიდარობას ხადებენ კონგოელ ხალხს. ისინი სას- ად გმობენ აგრესიულ მოქმედებას, მელიც ბელგიისა და დასავლეთის ქვეყნების იმპერიალისტებმა დაი- ს აფრიკის ახალგაზრდა დამოუკიდე- ი რესპუბლიკის მიმართ.

იდ ყურადღებას უთმობს კონგოს ამ- ს გერმანიის დემოკრატიული რეს- ლიკის პრესა, რომელიც მხურვალედ რს მხარს კონგოელი ხალხის მო- ოვნას კონგოდან ბელგიის ჯარების უყოვნებლივ გაყვანის შესახებ. სტა- ში „კონგო მარტო როდია“ გაზეთი რიბუნე“ წერს, რომ ბელგიელ აგრე- რებს პირდაპირ ან არაპირდაპირ ს უჭერდნენ და უჭერენ ამერიკის რთებული შტატების, დასავლეთ მანიის, საფრანგეთისა და ინგლისის იმპერიალისტები. „ტრიბუნე“ აღნიშნავს, რომ აფრიკის ამ სახელმწიფოს ამბები გამოწვეულია კოლონიურ სახელმწიფოთა შეთქმულებით კონგოს წინააღმდეგ.

ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობა დედამიწის ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანთან ერთად მკაცრად გმობს ბელგიელ კოლონიზატორთა ყაჩაღობას კონგოში და მოითხოვს ქმედითი დახმარების გაწევას ახალგაზრდა დამოუკიდებელი რესპუბლიკიდან აგრესორების განდევნისათვის. გაზეთი „რუდე პრავო“ მოუწოდებს „დაუყოვნებლივ გაუწოდონ დახმარების ხელი იმპერიალისტური აგრესიის მსხვერპლს“. მეორე გაზეთი — „ობრანუ ლიდუ“ წერს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც წამყვან იმპერიალისტურ სახელმწიფოს, სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ კონგოში ბელგიელ აგრესორთა ხიხხლიანი ინტერვენციისათვის.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის ვიეტნამის კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მოითხოვა დაუყოვნებლივ გაიყვანონ ბელგიისა და ამერიკის ჯარები კონგოდან, შეწყვიტონ ყოველგვარი ჩარევა ამ ქვეყნის საქმეებში და პატივი სცენ მის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. ვიეტნამელი ხალხი, ნათქვამია განცხადებაში, დიდი სიმპათიით ეპყრობა კონგოელ ხალხს და მტკიცედ უჭერს მხარს მის გმირულ ბრძოლას იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ.

პარიზიდან მიღებული ცნობით, შრომის საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღშფოთებით აცხადებს პროტესტს კოლონიალისტთა და კაპიტალისტური მონოპოლიების აგრესიის წინააღმდეგ, რომელიც კონგოს დამოუკიდებლობას ემუქრება, და ბელგიის ჯარების იქ გაგზავნის წინააღმდეგ. შრომის საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელობა კონგოს მშრომელებსა და ხალხს უცხადებს „თავის სრულ სოლიდარობას მათ მამაცურ ბრძოლაში დამოუკიდებლობის დასაცავად და განსამტკიცებლად“ და მოითხოვს დაუყოვნებლივ გაიყვანონ ბელგიის ჯარები კონგოდან, აგრეთვე პატივი სცენ კონგოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობასა და მთლიანობას.

# ჟენევის თათბირზე

ჟენევა, 22 ივლისი. (საკდესი). დღეს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის თავმჯდომარეობით გა- [illegible]

სხვადასხვა დროს შემოიტანა საბჭოთა დელეგაციამ, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა სავსებით [illegible]

ომადგენელმა, ამერიკის შეერთებუ- შტატების მთავრობა რეკლამას უკე- ბს უკვე ხანგრძლივი დროის განმავ- ობაში. აღნიშნა რა, რომ 1 წლისა და 9 ის განმავლობაში სამი სახელმწიფოს ბირის არცერთი მონაწილე არ აწ- ბს აფეთქებებს და რომ ეს გარემოება აღ დადებითი ფაქტორია, რომელსაც მწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმისათ- , რომ წარმატებით დამთავრდეს მო- პარაკება სამ ატომურ სახელმწიფოს რის, ს. კ. ცარაპკინმა შემდეგ თქვა, მ ა. წ. 7 მაისს ამერიკის შეერთებუ- შტატების მთავრობამ თეთრი სახ- ს განცხადებაში გამოაცხადა, რომ იგი ახლებს მიწისქვეშა ატომურ აფეთ- ბებს მიმდინარე წლის დამლევს.

ამავე მიზნით ამერიკის შეერთებული ტატების 1961 წლის ბიუჯეტში განსაზ- რული იყო 66 მილიონი დოლარი ნხა, რომელიც თითქმის 7-ჯერ აღე- ტება მიმდინარე წლის ასიგნებებს ამ ნისათვის. თავის განზრახვას ამერიკის ერთებული შტატების მთავრობა ამარ- ლებს მეცნიერული მიზნებით, თუმცა ყველასთვის გასაგებია, რომ ყოველივე ცხადყოფს არა იმდენად მშვიდობიან ცნიერულ მიზნებს, რამდენადაც პენ- გონის — ატომური იარაღის მთავა- მომხმარებლის სამხედრო ზრუნვას.

თეთრი სახლის ამ განცხადებამ, თქვა მდეგ ცარაპკინმა, საკმაოდ უცნაური შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან ცნო- ლია, რომ კვლევის პროგრამით ატომ- ლის ექსპერიმენტულ აფეთქებათა განხორციელების საკითხი მოლაპარაკე- ბის საგანია სამი სახელმწიფოს თათბირ- ამის გამო შეკითხვებზე, რომლებიც [illegible] კის შეერთებულმა შტატებმა კვლევის პროგრამის მიხედვით განახორციელონ ატომგულის აფეთქებანი მცირე რაოდენობით, მაგრამ იმ პირობით, რომ შეერთებული შტატები შეუთანხმდებიან ამის შესახებ საბჭოთა კავშირს. ჩვენ, თქვა შემდეგ ცარაპკინმა, არაერთხელ დავუბრუნდით ამ საკითხს, რათა ამერიკის შეერთებულ შტატებს არავითარი ეჭვი და გაურკვევლობა არ ჰქონოდათ საბჭოთა კავშირის პოზიციის შესახებ.

საბჭოთა დელეგაციას, ხაზგასმით აღნიშნა განცხადების დასასრულს ს. კ. ცარაპკინმა, საჭიროდ მიაჩნია ერთხელ კიდევ გააკეთოს ასეთი განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის გამოსვლა და მისი პასუხი ჩვენს სათანადო შეკითხვებზე შედგენილი იყო ისეთი ფორმით, თითქოს ამერიკის კვლევის პროგრამით ატომგულის იარაღის აფეთქებათა საკითხი არის საქმე, რომელიც მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს ეხება. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, როცა იგი აკეთებს ამგვარ განცხადებებს ატომგულის იარაღის აფეთქებათა განახლების შესახებ, კარგად იცის, რომ მისმა ასეთმა მოქმედებამ არ შეიძლება დიდი ზიანი არ მიაყენოს ჩვენს მოლაპარაკებას და უეჭველად ფრიად უარყოფითი გავლენა მოახდინოს საერთაშორისო ვითარებაზე მთლიანად. საბჭოთა დელეგაციის სურვილია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაითვალისწინონ ის შედეგები, რომლებიც მოჰყვება მათ მოქმედებას ატომგულის იარაღის აფეთქებათა განახლების საქმეში.

[illegible] ნაციის პირველი აუცილებელი პირობაა.

22 ივლისი. (საკდესი).

# ინგლისს სიმამაცე, სიბრძნე მართებს

ლონდონი, 22 ივლისი (საკდესი). ობილი ინგლისელი პუბლიცისტი კლ ფუტი გაზეთ „დეილი ჰერალდის“ ურცლებზე მკაცრად აკრიტიკებს ინგ- ლისის მთავრობის პოზიციას „პოლარი- ს“ რაკეტებით დასავლეთ გერმანიის ნდესვერის აღჭურვის ამერიკულ გეგ- მასთან დაკავშირებით.

„სულ ცოტა, რაც ინგლისელ ხალხს ვლება აქვს მოითხოვოს, — წერს უტი, — ის არის, რომ ჩვენი მთავ- რობა არ დაეხმაროს ხელში ჩაუგდონ რომიტის ახალი და, შესაძლებელია, ომაკვდინებელი კოჭი ახლანდელ მდგომარეობაში, როცა მოსალოდნელია აფეთქება.

მაგრამ, სწორედ ასე იქცევიან მაკმილანი და კომპანია“.

ფუტი აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრმა ბრაკერმა წამოაყრანტალა პენტაგონის ეს გეგმები, „ბონის, ლონდონისა და ვაშინგტონის ხელისუფლები იკლაკნებიან, ცდილობენ თავის დაძვრენას... ბონში მათ უკავიათ თავის არიდების პოზიცია. ვაშინგტონში ისინი ეშმაკობენ. თემთა პალატაში მაკმილანი ცდილობს თავის დაძვრენას. იგი არ ამბობს არც ჰოს, არც არას. მისი სიტყვით, გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ნატოს საბჭომ, მაგრამ რას მისცემს ხმას ინგლისი ამ საბჭოს სხდომაზე, საიდუმლოებად რჩება“.

ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ ინგლისის მთავრობა წინანდებურად უარს ამბობს განაცხადოს, რომ იგი წინააღმდეგობას გაუწევს ამ საშიშ ნაბიჯს, მაიკლ ფუტი განაგრძობს: „გაბედულად გაილაშქრებდნენ რა „პოლარისის“ რაკეტების შესახებ წინადადების წინააღმდეგ, მაკმილანსა და კომპანიას შეეძლოთ გამოეჩინათ ჭეშმარიტი სამშვიდობო ინიციატივა იმ დროს, როცა საერთაშორისო ასპარეზზე სხვა შავბნელი ამბები ხდება.

ასეთი მოქმედების საშუალებით შეიძლებოდა მეტის მიღწევა, ვიდრე მოსკოვისათვის გაგზავნილი მთელი თვალთმაქცური წერილების საშუალებით. ეს იქნებოდა სიმამაცის, სიბრძნისა და დამოუკიდებლობის აქცია“.

# ანტიფაშისტური მიტინგი რომში

რომი, 22 ივლისი (საკდესი). დღეს რომში გაიმართა იტალიის ანტიფაშისტური და დემოკრატიული ძალების ერთიანობის მასობრივი მიტინგი. მიტინგი მოეწყო სწორედ იმ მოედანზე, სადაც 6 ივლისს პოლიციამ მხეცურად დაარბია რომელთა დემონსტრაცია. მიტინგში, რომელიც მოაწყვეს კომუნისტურმა, სოციალისტურმა, რესპუბლიკურმა და რადიკალურმა პარტიებმა, მონაწილეობა ღო ათეულ ათასობით ანტიფაშისტმა, რომლებიც ტამბრონის მთავრობის დამხობის შემდეგ განაგრძობენ ერთობლივ ბრძოლას დემოკრატიული კანონიერების აღდგენისა და იტალიის ძირეული პოლიტიკური და სოციალური განახლებისათვის.

# მთავრობის შედგენა ფანფანის დაევალა

რომი, 23 ივლისი. (საკდესი). იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯოვანი გრონკიმ გუშინ საღამოს დაავალა ამინტორე ფანფანის (ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია) შეადგინოს ახალი მთავრობა.

# ყასემის განცხადება

ბაღდადი, 22 ივლისი. (საკდესი). გუშინ პრემიერ-მინისტრმა ყასემმა, უპასუხა რა ერაყის საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტის კითხვაზე ერაყში მოქმედი ნავთობის კომპანიებთან ამასწინანდელი მოლაპარაკების შედეგების თაობაზე და ნავთობის ექსპორტის შედეგად მიღებულ მოგებაში ერაყის წილის გადიდების თაობაზე, განაცხადა: ინგლისის ნავთობის კომპანიამ — „ბასრა პეტროლეუმ კომპანიმ“ თავისი 20 ივლისის წერილით აუწყა ერაყის მთავრობას, რომ შეამცირებს ნავთობის მოპოვებას 5 მილიონი ტონით წელიწადში.

ცხადია, განაგრძო ყასემმა: კომპანია თავისი იმ გადაწყვეტილებით, რომ შეწყვეტს ნავთობის მოპოვებას რუმაილის რაიონში და წინასწარ განზრახვით 5 მილიონი ტონით შეამცირებს ნავთობის შეთანხმებულ მინიმუმს წელიწადში, ზარალს აყენებს ეროვნულ ეკონომიკას და მეტისმეტ ზეგავლენას ახდენს ერაყის რესპუბლიკაზე.

ჩვენ ვაცხადებთ, ხაზგასმით აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა, რომ ერაყი მიაღწევს ურთიერთგაგებასა და მოლაპარაკებას, რათა აიძულოს კომპანია შეასრულოს მისი ვალდებულებანი, ვიდრე იგი მიიღებს რაიმე გამაფრთხილებელ ღონისძიებებს ამ კომპანიის წინააღმდეგ. ერაყს შეუძლია დაიცვას თავისი ეროვნული უფლებები, რადგანაც ერაყის რესპუბლიკა ვერ შეეგუება ამ უფლებების დარღვევას. ჩვენ ვიტოვებთ იმის უფლებას, რომ გამოვიდეთ კომპანიის წინააღმდეგ, თუ იგი თავს აარიდებს თავისი ვალდებულებების შესრულებას და კვლავ ზეგავლენას მოახდენს ერაყზე.

## ჭკუისსასწავლებელი საკითხავი




ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ბევრი ურჩევს არ გაიმეოროს ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის შეცდომები, როდესაც ისინი 1956 წელს თავს დაესხნენ ეგვიპტეს. ა. იდენის მემუარების წიგნი, რომელიც მიძღვნილია სუეცის ჩაშლილი ავანტიურისადმი, როგორც ჩანს, მეტად სასარგებლო იქნებოდა პრეზიდენტისათვის.

(გაზეთებიდან).

ნახატი მხატვარ გრინსვუდისა ინგლისურ გაზეთ „დეილი მეილიდან“.

# შუბი ხალთაში არ დაიმალება

ტოკიო, 22 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ზაცეპინი იტყობინება: ამერიკის საელჩო იაპონიაში და სამხედრო ხელისუფალნი დღეს ფრიად არასასიამოვნო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ორი კვირაც არ გასულა მას შემდეგ, რაც გამოაცხადეს ჯაშუშური თვითმფრინავების „უ-2“ გაყვანა იაპონიის ტერიტორიიდან, და იაპონიის სოციალისტურმა პარტიამ, დაიმოწმა რა უცილობელი დამამტკიცებელი საბუთები, განაცხადა, რომ ეს თვითმფრინავები კვლავ არიან იაპონიის ტერიტორიაზე. სოციალისტურმა პარტიამ აღნიშნა, რომ პარლამენტში დასვამს ამ საკითხს.

ამ განცხადებამ, როგორც ჩანს, იმდენად შეაცბუნა საელჩოს ხელმძღვანელები და ამერიკელი გენერლები, რომ მათ არ დააყოვნეს მიემართნათ საკმაოდ ტლანქი კონტრმანევრისათვის. როგორც დღეს გაზეთი „მაინიჩი დეილი ნიუსი“ იუწყება, გუშინ გვიან საღამოს ამერიკის ელჩი მაკარტური ეწვია იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს იამადას და გადასცა ასლი დოკუმენტისა, რომელიც, მისი სიტყვით, გავრცელებულია ტოკიოში. დოკუმენტში წარწერით „ფრიად საიდუმლო“, რომელიც მიმართულია ელჩ მაკარტურისადმი და რომელსაც ხელს აწერს ამერიკის სამხედრო-საჰაერო ატაშე იაპონიაში პოლკოვნიკი ემენსი, ნათქვამია:

„ჩვენ მიერ მიღებული ცნობებით, [illegible] დარტყმის შესახებ რეალურ საფრთხეს უქმნის იაპონიას“.

შემდეგ დოკუმენტში აღნიშნულია იაპონელი ხალხის მასობრივი საპროტესტო მოძრაობა კიშის რეჟიმის წინააღმდეგ და წამოყენებულია წინადადება იაპონიის მთავრობის მხარდამჭერის მიზნით გაკეთდეს განცხადება იმის შესახებ, რომ შეერთებულ შტატებს გაჰყავთ თავიანთი სადაზვერვო თვითმფრინავები იაპონიიდან. „მას შემდეგ, — ნათქვამია ამ დოკუმენტში, — რაც გაკეთდება ასეთი განცხადება, ჩვენ ყველა „უ-2“ თვითმფრინავს დროებით გადავიყვანთ მთავარი მატერიკიდან ოკინავაზე, სადაც შეგვიძლია უფრო მალულად ვაწარმოოთ ჩვენი ოპერაციები. და როცა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები შეწყდება, შეგვიძლია დავაბრუნოთ ჩვენი თვითმფრინავები იაპონიაში ჩვენი სტრატეგიული ინტერესების შესაბამისად“.

გადასცა რა ამ დოკუმენტის „პირი“, მაკარტურმა სთხოვა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აწარმოოს კვლევა ამ დოკუმენტის გამოჩენასთან დაკავშირებით, რომელსაც ამერიკის ელჩმა ნაყალბევი უწოდა.

საპარლამენტო ღონისძიებათა კომიტეტის სხდომაზე, რომელიც დღეს გაიმართა, სოციალისტურმა პარტიამ განაცხადა, რომ სინამდვილეში მის ხელთ არის ნამდვილი დოკუმენტი ამერიკის ჯაშუშური თვითმფრინავების შესახებ, რომელსაც ხელს აწერს ამერიკის სამხედრო-საჰაერო ატაშე ემენსი.

სოციალისტურმა პარტიამ ამასთან დაკავშირებით მოითხოვა, რომ იაპონიის მთავრობამ განუმარტოს ხალხს შექმნილი მდგომარეობა, აგრეთვე შუქი მოფინოს ამერიკის ჯაშუშური ბომბდამშენების „რბ-47“ მოქმედებას, რომლებიც იაპონიის ბაზას იოკოტაში თავიანთი ფრენისათვის იყენებენ. ამავე დროს სოციალისტურმა პარტიამ განაცხადა, რომ იაპონელი ხალხი ვერ დაუშვებს, რომ ამერიკის თვითმფრინავები „რბ-47“ იაპონიის ტერიტორიას იყენებდნენ თავიანთი ფრენისათვის. იმასთან დაკავშირებით, რომ დღეს იხურება იაპონიის პარლამენტის რიგგარეშე სესია, სოციალისტურმა პარტიამ მოითხოვა კაბინეტის საქმეთა საპარლამენტო კომისიის მოწვევა, სადაც ყველა მისი წარმომადგენელი შეიტანს საგანგებო შეკითხვებს „უ-2“ თვითმფრინავის საქმეზე ახალი ფაქტების მიხედვით.

დოკუმენტი, რომელიც ამერიკის ელჩმა წარუდგინა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, დღეს განიხილეს იაპონიის პრემიერ-მინისტრ იკედასა და საგარეო საქმეთა მინისტრ კოსაკას სასწრაფოდ მოწვეულ თათბირზე.

## ტელეგრაფი გვატყობინებს

◆ 22 ივლისს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 16 წლისთავის დღეს, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვლადისლავ გომულკამ მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ნ. ნ. ორგანოვის მეთაურობით, რომელიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფება პოლონეთის სეიმის მიწვევით. შეხვედრამ განსაკუთრებით გულითად და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

◆ უნგრეთში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი ინდონეზიის რესპუბლიკის პირველი მინისტრი ჯუანდა წვლილისათვის ქვეყნებს შორის მეგობრული კავშირისა და თანამშრომლობის განვითარებაში და საქმიანობისათვის, რომლის მიზანია საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმმა დააჯილდოვა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დროშის ორდენით.

◆ სამეფო საზოგადოების (ინგლისის მეცნიერებათა აკადემიის) 300 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს აკადემიკოს ნ. ნ. სემიონოვს ოქსფორდში მიანიჭეს ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებათა საპატიო დოქტორის წოდება.

◆ ბერლინში შეიქმნა აფრიკის ხალხებთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოლიდარობის კომიტეტი. კომიტეტში შევიდნენ რესპუბლიკის საზოგადოებრიობის, დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

◆ ჯაკარტაში საბჭოთა კავშირთან ინდონეზიის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ინიციატივით გაიმართა ა. პ. ჩეხოვის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. საღამოს დაესწრნენ საზოგადოებისა და მშვიდობის კომიტეტის ხელმძღვანელები, ჯაკარტის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მთელი რიგი ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები.

# ცდილობენ გაექცნენ პასუხისმგებლობას

ნიუ-იორკი, 22 ივლისი (საკდესი). გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰერტერი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების საწინააღმდეგოდ ამტკიცებდა, თითქოს კონგოში არ არიან ამერიკის შეიარაღებული ძალები. მაგრამ ჰერტერი იძულებული გახდა ელიარებინა, რომ „ამერიკის სამხედრო მოსამსახურეთა პატარა ჯგუფი იმყოფება ლეოპოლდვილში“. ამასთან მან ის დაიმოწმა, რომ ამერიკის ჯარები იქ არიან ვითომდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დასტურით.

კონგოს ამბები, განაცხადა ჰერტერმა, „ეხება ჩვენს ინტერესებს“. მაგრამ სახელმწიფო მდივანმა უარი თქვა განემარტა, თუ სახელდობრ ამერიკის შეერთებული შტატების რა „ინტერესები“ აქვს მას მხედველობაში.

შეეხო რა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას კუბის მიმართ, ჰერტერი ამტკიცებდა, რომ შეერთებული შტატები არ ფიქრობენ ინტერვენციაზე კუბაში.

ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთმა კორესპონდენტმა ჰერტერის ყურადღება მიაქცია იმას, რომ ამერიკის გაზეთები იუწყებიან, რომ მზადდება გეგმა, რომელიც ითვალისწინებს კუბის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენციის შესაძლებლობას, და რომ ორი გაზეთი პირადად მას, ჰერტერს, უკავშირებდა ამ გეგმებს. ჰერტერმა უპასუხა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტს „არა აქვს ასეთი გეგმები“.

მეორე კორესპონდენტმა ჰკითხა ჰერტერს, მაშ რა უშლის ამ შემთხვევაში ხელს შეერთებულ შტატებს კატეგორიულად გააბათილონ განცხადებანი კუბაში ინტერვენციის მზადების შესახებ. ჰერტერმა უპასუხა, ეჭვი მეპარება, რომ საჭირო იყოს ამის უარყოფა, რადგან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით და ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წესდებით „იკისრეს საქვეყნო ვალდებულება არ წამოიწყონ აგრესიული მოქმედება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რომელიმე წევრის წინააღმდეგ“.

ასეთმა პასუხმა ვერავინ ვერ დააკმაყოფილა, რამდენადაც ყველამ იცის, რომ ამ „საქვეყნო ვალდებულებამ“ ხელი ვერ შეუშალა შეერთებულ შტატებს თავის დროზე დაეწყო ინტერვენცია გვატემალაში, რათა დაემხო ამ ქვეყანაში მისთვის არასასურველი კანონიერი მთავრობა.

ჰერტერს სთხოვეს განემარტა, მართალია, რომ ამერიკის მთავრობა აპირებს მიიღოს ღონისძიებანი, რათა შეაფერხოს ამერიკის ტანკერებით ნავთობის მიტანა კუბაში. ჰერტერმა თავი აარიდა პირდაპირ პასუხს ამ კითხვაზე და განაცხადა, რომ მისთვის „ცნობილი არ არის“ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის კონკრეტული ღონისძიებანი ამ მხრივ.

## ატომური დაბომბვის მსხვერპლნი

ტოკიო, 22 ივლისი. (საკდესი). 20 ივლისს იაპონიის ქალაქ ხიროსიმაში სხივური ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა 24 წლის ხიროკო ტაკატი. როგორც დღეს გაზეთი „ასახი“ იუწყება, ხიროსიმას ატომური დაბომბვის მომენტში ტაკატი 9 წლისა იყო.

ტაკატისთან ერთად იმავე დღეს სხივური ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა ხიროსიმას 65 წლის მცხოვრები იციტარო.

# კონგოს ტერიტორია უნდა გაიწმინდოს ოკუპანტებისაგან!

ნიუ-იორკი, 22 ივლისი. (საკდესი). გუშინ 15 საათსა და 20 წუთზე ადგილობრივი დროით (22 საათსა და 20 წუთზე მოსკოვის დროით) განახლდა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც განიხილავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენებას იმ რეზოლუციის შესრულების შესახებ, რომელიც საბჭომ მიიღო ბელგიის აგრესიასთან დაკავშირებით კონგოს რესპუბლიკის წინააღმდეგ.

სხდომაზე პირველი გამოვიდა ტუნისის წარმომადგენელი მ. სლიმი. მან აღნიშნა, რომ კონგოში შექმნილი ვითარების სერიოზულობა გამოწვეულია ორი მიზეზით: ბელგიის ჯარების ყოფნით კონგოში და ახალგაზრდა რესპუბლიკის დანაწილების საფრთხით. მიუხედავად რეზოლუციისა, რომელიც უშიშროების საბჭომ მიიღო წარსულ კვირაში, თქვა სლიმმა, არ არის არავითარი ნიშანი, რომ მოხდება ბელგიის ჯარების ევაკუაცია კონგოდან. პირიქით, არის იმის დადასტურება, რომ ბელგიის ჯარები განაგრძობენ კონგოში გადასხდომას მას შემდეგ, რაც საბჭომ მიიღო რეზოლუცია და ჩავიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალები. გამოყვანის ნაცვლად წარმოებს მხოლოდ გადაჯგუფება კონგოს სხვადასხვა რაიონში. ამ ჯარების ყოფნა ხელს არ უწყობს მშვიდობასა და სტაბილობას კონგოში, განაცხადა სლიმმა. სინამდვილეში ბელგიის ჯარების ყოფნა ინარჩუნებს დაძაბულობას, იწვევს სიკვდილსა და ნგრევას. ბელგიის ასეთი ჯიუტობა, ხაზგასმით აღნიშნა ტუნისის წარმომადგენელმა, შეუთავსებელია კონგოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემასთან და ეწინააღმდეგება უშიშროების საბჭოს ნათელ გადაწყვეტილებას. ამ პრობლემის ერთადერთი გადაწყვეტა ის არის, რომ დაუყოვნებლივ გაიყვანონ ბელგიის ჯარები კონგოს რესპუბლიკიდან.

მეორე საფრთხე, თქვა შემდეგ ტუნისის წარმომადგენელმა, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ემუქრება კონგოს, არის ახალგაზრდა რესპუბლიკის დანაწილების ცდა. სლიმმა შენიშნა, რომ კატანგის პროვინციაში ბელგიის ჯარების ყოფნასა და ამ პროვინციის გამოყოფის ტენდენციას შორის არის გარკვეული კავშირი, რაც შეშფოთებას იწვევს. მან აღნიშნა, რომ კატანგაში არის ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვანი მარაგი, ხოლო ბელგიელებს, თავის მხრივ იქ აქვთ დიდი კაპიტალდაბანდებანი. ტუნისის დელეგატის სიტყვით, არ არის არავითარი მიზეზი, რომ იქ იყვნენ ბელგიელი პარაშუტისტები, ცხადია, რომ მათი ყოფნა მიზნად ისახავს განახორციელონ პროვინციის გამოყოფა კონგოს დანარჩენი ნაწილისაგან.

ტუნისის წარმომადგენელმა მოუწოდა ყველა ქვეყანას არ მიმართონ არავითარ მოქმედებას, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ახალი სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. მან შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომლის თანაავტორია აგრეთვე ცეილონის დელეგაცია. რეზოლუციის ეს პროექტი მოუწოდებს ბელგიის მთავრობას, რაც შეიძლება მალე გაიყვანოს თავისი ჯარები კონგოდან. ცეილონის დელეგატმა კლოდ კორეამ აღნიშნა, რომ კონგოში დაძაბულობის მთავარი მიზეზია იქ ბელგიის ჯარების ყოფნა და მოითხოვა ამ ჯარების სწრაფად გაყვანა.

შემდეგ გამოვიდა პოლონეთის წარმომადგენელი ლევანდოვსკი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონგოს მთავრობა იძულებული იყო დახმარება ეთხოვა უშიშროების საბჭოსათვის ბელგიის ჯარების მოქმედების შედეგად, რომლებმაც ხელთ იგდეს კონტროლი კონგოსადმი და ხოცავენ კონგოს მოსახლეობას „თეთრკანიანთა ქონებისა და სიცოცხლის დაცვის“ საბაბით. ლევანდოვსკიმ ამხილა ბელგიელთა მიერ გავრცელებული ცილისმწამებლური ხმები, რომ კონგოში ჩავიდა პოლონეთის გემები იარაღით და მოხალისეებით. აღნიშნა რა, რომ ბელგია აშკარად უგულებელყოფს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს კონგოს საკითხზე, პოლონეთის დელეგატმა მხარი დაუჭირა საბჭოთა რეზოლუციის პროექტს, რომელიც აწესებს კონგოს ტერიტორიიდან ბელგიის ჯარების გაყვანის ზუსტ ვადებს.

არგენტინის წარმომადგენლის გამოსვლის შემდეგ, რომელმაც მხარი დაუჭირა ტუნისისა და ცეილონის რეზოლუციის პროექტს, უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება საღამოს 20 საათსა და 30 წუთამდე (22 ივლისის 3 საათსა და 30 წუთამდე მოსკოვის დროით).

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ იტალიის, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები, რომლებმაც გულახდილად გაამართლეს ბელგიის შეიარაღებული ინტერვენცია კონგოს რესპუბლიკაში. საფრანგეთის დელეგატმა ისიც კი სცადა, რომ დანაშაული ამ ქვეყანაში დაძაბული მდგომარეობისათვის გადაებრალებინა კონგოს მთავრობისათვის. ამასთან ერთად დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა უშიშროების საბჭოს ტრიბუნა გამოიყენეს ცილისმწამებლური და უსაფუძვლო ბრალდებისათვის საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის წინააღმდეგ.

შემდეგ სიტყვა აიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა, რომელმაც საკადრისი პასუხი გასცა დასავლეთის სახელმწიფოთა ცდებს დაემახინჯებინათ საბჭოთა კავშირის პოზიცია კონგოს საკითხში და გაემართლებინათ ბელგიის მთავრობის აგრესიული მოქმედება ახალგაზრდა რესპუბლიკის წინააღმდეგ. ვ. ვ. კუზნეცოვმა უშიშროების საბჭოს ყურადღება მიაქცია იმას, რომ უკანასკნელ კვირაში მდგომარეობა კონგოში არ გაუმჯობესებულა. თუ, თქვა მან, მიღებულ არ იქნა სათანადო ღონისძიებანი, ამ ქვეყანაში შეიძლება გაიშალოს კიდევ უფრო ტრაგიკული ამბები.

ეკვადორის წარმომადგენლის გამოსვლის შემდეგ უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო ტუნისისა და ცეილონის მიერ შეტანილი რეზოლუცია. რეზოლუციაში უშიშროების საბჭო მოუწოდებს ბელგიის მთავრობას დაუყოვნებლივ შეასრულოს უშიშროების საბჭოს დადგენილება ბელგიის ჯარების გაყვანის შესახებ, აგრეთვე წინადადებას აძლევს ყველა სახელმწიფოს თავი შეიკავოს ყოველგვარი მოქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს კანონიერებისა და წესრიგის აღდგენას და კონგოს მთავრობის მიერ თავის რწმუნებათა განხორციელებას, და თავი შეიკავონ ყოველგვარი მოქმედებისაგან, რომელსაც შეუძლია ძირი გამოუთხაროს კონგოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

ტუნისისა და ცეილონის რეზოლუციის ერთხმად მიღებასთან დაკავშირებით საბჭოთა დელეგაციას არ მოუთხოვია თავისი რეზოლუციის პროექტისათვის კენჭისყრა.

კენჭისყრის მოტივებზე გამოვიდა ვ. ვ. კუზნეცოვი, რომელმაც თქვა, რომ, თუმცა სსრ კავშირის დელეგაციამ ხმა მისცა ტუნისისა და ცეილონის ერთობლივ რეზოლუციას, მას იგი საკმარისად არ მიაჩნია კონგოდან ბელგიის ჯარების გაყვანის ვადების მხრივ. მან იმედი გამოთქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ყოველ ღონეს იხმარს, რათა ბელგიის ჯარები გაყვანილ იქნენ დაუყოვნებლივ რამდენიმე დღის განმავლობაში.

კუზნეცოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს რეზოლუცია არ უნდა მივიჩნიოთ ისე, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას უფლება ენიჭება ჩაერიოს სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში და იკისროს პასუხისმგებლობა სახელმწიფოში საშინაო კანონებისა და წესრიგისათვის. კონგოს რესპუბლიკა, განაცხადა მან, დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოა და ამიტომ ყველა საკითხის გადაჭრა, რომლებიც კონგოს ეხება, მხოლოდ და მხოლოდ რესპუბლიკის მთავრობის პრეროგატივაა.

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 23 ივლისი. (საკდესი). გუშინ 15 საათსა და 20 წუთზე ნიუ-იორკის დროით, (22 საათსა და 20 წუთზე მოსკოვის დროით) გაიხსნა უშიშროების საბჭოს სხდომა, მოწვეული საბჭოთა კავშირის თხოვნით.

საბჭოს დღის წესრიგშია საკითხი: „ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავიაციის ახალი აგრესიული მოქმედებანი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საყოველთაო მშვიდობას“.

უშიშროების საბჭოს მიერ დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ სიტყვა აიღო საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა.

მოაგონა რა საბჭოს, რომ სსრ კავშირის მთავრობა იძულებულია ამ წლის განმავლობაში მეორედ დასვას უშიშროების საბჭოს წინაშე ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მოქმედებათა საკითხი, რომლებიც გრძელდება, ვ. ვ. კუზნეცოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის ბომბდამშენის მიერ სსრ კავშირის საზღვრის დარღვევა მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კვლავ მიდის მშვიდობის საქმისათვის საშიში გზით, რომელსაც უკვე მოჰყვა უმაღლეს დონეზე თათბირის ჩაფუშვა და რომელიც ერთსულოვნად დაგმო მსოფლიო საზოგადოებრივმა აზრმა.

საბჭოთა მთავრობის დავალებით ვ. ვ. კუზნეცოვმა უშიშროების საბჭოს განსახილველად შეიტანა პროექტი რეზოლუციისა, რომელშიც საბჭოს წინადადება ეძლევა დაგმოს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავიაციის პროვოკაციული მოქმედებანი, რომლებიც გრძელდება, მიიჩნიოს ისინი აგრესიულ აქტებად. რეზოლუციის პროექტი შეიცავს მოთხოვნას, რომ შეერთებული შტატების მთავრობამ დაუყოვნებლივ მიიღოს ღონისძიებანი ასეთი მოქმედების შესაწყვეტად და არ დაუშვას მომავალში იგი.

შემდეგ გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ლოჯი, რომელიც ორწუთიან სიტყვაში დასჯერდა უსაბუთო მტკიცებას, რომ ამერიკის სადაზვერვო თვითმფრინავი „რბ-47“ თითქოს ჩამოაგდეს საბჭოთა სანაპიროდან 50 მილზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ ამის შემდეგ შეწყვიტა მუშაობა ორშაბათამდე, 25 ივლისამდე.

# კუბის მთავრობის გადაწყვეტილება

ნიუ-იორკი, 22 ივლისი. (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეშენლის სააგენტოს მიერ ჰავანიდან გადმოცემული ცნობით, დღეს კუბის მთავრობამ გამოაქვეყნა ბრძანებულება კომპანია „კუბან-ამერიკენ შუგარ კომპანის“ სამ შაქრის ქარხანაზე მთავრობის კონტროლის დაწესების შესახებ. კომპანიას ბრალად დადეს „ეროვნული ეკონომიკის შეფერხება დატვირთულობის დიდმნიშვნელოვანი ცენტრების დახურვის გზით“.

# დემონსტრაცია კუბის მხარდასაჭერად

ნიუ-იორკი, 22 ივლისი. (საკდესი). როგორც პრენსა ლატინას სააგენტო იუწყება ლიმიდან, 20 ივლისს საღამოს პერუში შეერთებული შტატების საელჩოს შენობის მახლობლად გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია კუბის მიმართ შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ. ეს დემონსტრაცია იყო კულმინაციური პუნქტი სახელდახელო მიტინგების სერიისა, რომლებსაც აწყობენ კუბის რევოლუციის მხარდასაჭერად დიდი სახალხო დემონსტრაციის მომზადებისათვის. ეს დემონსტრაცია დანიშნულია 26 ივლისს — „აჯანყების დღეს“, რომელიც კუბის ეროვნული დღესასწაულია.

დემონსტრაცია, რომელიც მოაწყო პარტია „აჯანყებული აპრის“, სოციალისტური, კომუნისტური და სხვა პარტიების ახალგაზრდობამ, ჩაიარა ლოზუნგებით: „კუბა — ჰო, იანკი — არა!“, „გაუმარჯოს კასტროს!“

დასასრულ გაიმართა მიტინგი, რომელზეც პერუს ახალგაზრდობამ მრისხანედ დაგმო შეერთებული შტატების მოქმედება კუბის მიმართ. „თუ საჭირო იქნება, — თქვა სტუდენტმა ედმუნდო კრუსმა, — ჩვენ მზადა ვართ სიცოცხლე გავწიროთ, და დღეს აქ შევიკრიბენით, რათა გამოვაცხადოთ ეს გადაწყვეტილება“.

დემონსტრაციის მონაწილეებმა კუბის მხარდამჭერი ლოზუნგები წააწერეს კარებს, კედლებსა და ქვაფენილს ამერიკის საელჩოს შენობის წინ.

# პოლიციის ტერორი ესპანეთში

პარიზი, 22 ივლისი (საკდესი). ფრანკისტულ ესპანეთში მძვინვარებს პოლიციის ტერორი. როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, ამ ბოლო დროს ესპანეთის მარტო ორ პროვინციაში — კორდოვასა და სევილიაში დააპატიმრეს სამი ათასზე მეტი მუშა და გლეხი. ბევრი მათგანი პოლიციის ჯურღმულებში მხეცურად აწამეს.

ასეთი მასობრივი პოლიციური რეპრესიებით, — წერს „ლუმანიტე“ დიქტატორი ფრანკო ცდილობს ჩაახშოს ესპანელ მშრომელთა მტკიცე გადაწყვეტილება იბრძოლონ ხელფასის მომატებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. მაგრამ, პოლიციური რეპრესიების მიუხედავად, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „ლუმანიტე“, ესპანეთის მოსახლეობა სულ უფრო აქტიურად გამოდის გენერალ ფრანკოს ახლანდელი რეჟიმის წინააღმდეგ, რომელმაც ეკონომიურ კატასტროფამდე მიიყვანა ეს ქვეყანა.

გაზეთი იუწყება აგრეთვე, რომ სევილიის პროვინციის ბევრ დასახლებულ პუნქტში ოფიციალურ ხელისუფალთა შენობების წინ ხშირად იმართება მოსახლეობისა და უმუშევართა დემონსტრაციები, რომელნიც პურსა და სამუშაოს მოითხოვენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლიტერატურა და ხელოვნება

# ჩანაფიქრი და ხორცშესხმა

### აზერბაიჯანის აზიზბეკოვის სახელობის თეატრის გასტროლები

**აზერბაიჯანელი** კლასიკოსის ჯაფარ ჯაბარლის დრამა „ალმასი“ (რეჟისორი ა. ალეკპეროვი), ჯაბარ მეჯნუნბეგოვის პიესა „ილიჩის ყურე“ (რეჟისორები ა. ისკენდეროვი და ა. შარიფოვი), საბიტ რახმანის კომედია „ბედნიერები“ (რეჟისორები ა. ისკენდეროვი და შ. ბადალბეილი) და ახალგაზრდა აზერბაიჯანელი დრამატურგის ისლამ საფარლის დრამა „დედის გული“ (რეჟისორები ა. ისკენდეროვი და ა. ყულიევი) — აი ის ოთხი დადგმა, რომლითაც წარმოდგენილია საბჭოთა თემატიკა აზერბაიჯანის სახელმწიფო აკადემიური დრამის თეატრის ვრცელ საგასტროლო რეპერტუარში.

დრამა „ილიჩის ყურე“ მოგვითხრობს სამოქალაქო ომის წლებში გაპარტახებული ნავთის მრეწველობის აღდგენა-განვითარებისათვის ბაქოელ მუშათა თავდადებულ ბრძოლაზე. „ალმასში“ აღწერილია გაამწვავებული კლასობრივი წინააღმდეგობები, რომლებმაც თავი იჩინეს სოფლად საკოლმეურნეო მოძრაობის პირველ წლებში. რაც შეეხება „დედის გულსა“ და „ბედნიერებს“, შინაარსის მიხედვით ძნელი გასარკვევია, თუ ჩვენი ცხოვრების რომელ პერიოდს განეკუთვნებიან ისინი. ამ პიესებში ისეთი შინაგანი წყობის მქონე გმირები მოქმედებენ, რომლებიც უახლოეს საუკუნეთა თითქმის ყველა მონაკვეთში შეიძლებოდა არსებულიყვნენ. მაგალითად, პიესა „დედის გულში“ მთელი მოქმედების მთავარი მამოძრავებელი ზამბარაა ძველი მელოდრამებისათვის დამახასიათებელი ტიპიური ბოროტი გმირი — ინჟინერი იუსიფ შაფა, რომელსაც სურს ასევე მელოდრამატული ყაიდის კეთილ გმირთა მდიდრული სახლი ჩაიგდოს ხელში. ამ მიზნის მისაღწევად იგი კვლავ ძველი მელოდრამებისათვის ჩვეულ ხერხს მიმართავს — ცდილობს ცოლად შეირთოს სახლის პატრონის ახალგაზრდა ქვრივი რძალი.

ერთადერთი ქმედითი იარაღი, რომლითაც აღჭურვილია ეს პერსონაჟი თავისი ბნელი ზრახვების შესასრულებლად, არის შანტაჟი, რასაც ის იყენებს ახალგაზრდა ქვრივისა და ამ ქალის დარბაისელი დედამთილის მიმართ. მაგრამ ამბავი, რომელიც პიესის ინტრიგას განაპირობებს, მოკლებულია საბჭოთა სინამდვილეში ყოველგვარ საფუძველს. მოქმედი პირები ჩაყენებულია ყალბ მდგომარეობაში. განა შეიძლება შეაშინო მოწინავე საზოგადო მოღვაწე ქალი იმის გამჟღავნებით, რომ იგი თურმე სხვის შვილსა ზრდის; რომ თურმე მძიმე მშობიარობის გამო მას მკვდარი ბავშვი გასჩენია და ბებია ქალს მისთვის უპატრონო ჩვილი შეუტყუებია?! რა არის ამაში სამარცხვინო ან საშიში? რატომ უნდა აიძულოს ამან საბჭოთა ქალი გაჰყვეს ცოლად საძულველ ადამიანს?

ყოველივე ამის გამო განსაკუთრებით უხერხულ მდგომარეობაში არიან ჩაყენებული ახალგაზრდა ქვრივის სევგილის და მით უმეტეს იუსიფ შაფას როლების შემსრულებლები ჰოქუმა ყურბანოვა და მელიქ დადაშევი. მიუხედავად ამ ნიჭმომადლებული მსახიობების მიერ გაწეული დიდი შრომისა, მათ მხოლოდ ნაწილობრივ დააღწიეს თავი ავტორისეულ სქემატურობას.

გაცილებით დამაჯერებლად გამოიყურება პიესაში ჩვეული ნამდვილი დედის ინჯეს სახე. ისეთი ფუქსავატი ახალგაზრდა ქალები, როგორიც არის ინჯე, დღესაც მოიპოვებიან. ამიტომ ამ სახის სატირულ გააზრებას თავისი რეალური საფუძველი აქვს ჩვენს სინამდვილეში, რაც დიდი წარმატებით გამოიყენა კიდეც მსახიობმა ნაჯიბა მელიქოვამ.

ამგვარად, ამ პიესის პერსონაჟები დღევანდელ გარემოში ცხოვრობენ, მაგრამ მდგომარეობა, რომელშიც ისინი მოქმედებენ, უცხოა ამ დღევანდელობისათვის. ამიტომაც, როგორც აღვნიშნეთ, პიესა შინაარსეულად ნაკლებად შეესატყვისება ჩვენს თანადროულობას. თუმცა ამის გამო სპექტაკლი ინტერესს მოკლებული როდია. მძაფრი სიტუაციები და განცდები იზიდავენ მაყურებელს. სპექტაკლისადმი ინტერესს მნიშვნელოვნად აძლიერებს მსახიობთა ეფექტური თამაში, კომპოზიტორ დ. ჯანგიროვის სასიამოვნო მუსიკა და მსახიობ მამედალი ალიევის მიერ გულში ჩამწვდომი აზერბაიჯანული სიმღერების ბრწყინვალე შესრულება.

ს. რახმანოვის „ბედნიერებიც“ აზერბაიჯანელი ხალხის დღევანდელი ცხოვრების კონკრეტულ სურათს არ იძლევა. გარდა ამისა, ეს ნაწარმოები ისეთი ყველა დროისათვის შესაფერი ელასტიკური სიუჟეტის მქონე, მსუბუქი და უპრეტენზიო ვოდევილია, რომ ამ მასალაზე თეატრს, ბუნებრივია, არ შეეძლო მნიშვნელოვანი საუბარი გაემართა მაყურებელთან ჩვენს დღევანდელობაზე, მხიარულება და ოპტიმიზმი — აი ის თვისებები პიესისა და სპექტაკლისა, რითაც იგი შეიძლება გამოეხმაუროს ჩვენს სინამდვილეს და რაც მაყურებლამდე წარმატებით მიაქვს შემსრულებელთა დიდ უმრავლესობას, განსაკუთრებით შესანიშნავ სახასიათო მსახიობს ა. ჯავადოვს.

სარეცენზიო ოთხი სპექტაკლიდან გაცილებით უფრო თანამედროვე ჟღერადობა ახასიათებს „ილიჩის ყურეს“ და განსაკუთრებით „ალმასს“, თუმცა ამ სპექტაკლების სიუჟეტი ფაქტიურად ისტორიულ მასალაზეა აგებული. როგორ მიაღწია ამას თეატრმა? უპირველეს ყოვლისა იმით, რომ რეჟისურამ ორივე ამ პიესაში მონახა და სპექტაკლში ძირითადი იდეის გვერდით ყურადღება გაამახვილა ნაწარმოების იმ მხარეზე, რომელიც ჩვენს დროს ეხმაურება.

„ალმასის“ დამდგმელი რეჟისორი ა. ალეკპეროვი არ დაკმაყოფილდა მარტოოდენ იმ კლასობრივ წინააღმდეგობათა ჩვენებით, რომლებზეც მოგვითხრობს პიესა. ამასთან ერთად მან წინა პლანზე წამოსწია ჩვენი ცხოვრების მეტად აქტუალური საკითხი — ბრძოლა მოქალაქეობრივი გულგრილობის წინააღმდეგ და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საზოგადოებრივი აქტიურობა საბჭოთა ადამიანის ზნეობის უცილობელი თვისებაა.

ახალგაზრდა მოწინავე ქალი — ალმასი სულ რამდენიმე თვეა დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს. იგი მასწავლებელია, მაგრამ მარტოოდენ თავისი პირდაპირი მოვალეობის შესრულებით როდი კმაყოფილდება. ალმასს შეაქვს სიახლენი სკოლის ცხოვრებაში. იგი მოუწოდებს თანასოფლელებს საკოლმეურნეო მშენებლობისაკენ და მოითხოვს, რომ კულაკ ახმედის ბაღი გადაეცეს ხალხს. ყოველივე ეს იწვევს კულაკებისა და იმათი დამქაშების მძაფრ წინააღმდეგობას. ისინი ყოველგვარ ხერხს ხმარობენ ალმასის თავიდან მოსაცილებლად, მაგრამ ქალაქიდან ჩამოსული კომისია ააშკარავებს ამ მტრული ელემენტების დანაშაულებრივ საქმიანობას და აპატიმრებს მათ.

ეს ცხოვრებისეული სიუჟეტი პიესაშიც და სპექტაკლშიც უაღრესად დაძაბულად ვითარდება. ძირითადი საკითხი — საკოლმეურნეო მშენებლობა, რომელიც საფუძვლად უდევს კონფლიქტს, იმდენად მნიშვნელოვანია თავისთავად, რომ რეალურ საშუალებას იძლევა პიესის ყოველი მოქმედი პირი მძაფრად ჩაებას ბრძოლაში. კოლექტივიზაციისადმი თავისი დამოკიდებულების გამომჟღავნებისას პერსონაჟები ავლენენ არა მარტო საკუთარ პოლიტიკურ არსს, არამედ კონკრეტულ ადამიანურ თვისებებსაც.

ყოველივე ამის გამო პიესის თვითეული პერსონაჟი სისხლსავსე და ქმედითია. ლიტერატურული მასალის ეს თვისებები რეჟისორმა შესანიშნავად გამოიყენა და თვითეულ მსახიობს ისეთი აქტიური ამოცანა დაუსახა, რომ სპექტაკლი ანსამბლურია ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით. მსახიობების მიერ ყოველი სახე მართლაც ჩინებულად არის გამოკვეთილი. ასეთები არიან, რა თქმა უნდა, პიესის მთავარი გმირი ალმასი მსახიობ ლ. ბედირბეილის შესრულებით, მსახიობ მ. ნავრუზოვის მიერ შექმნილი ჩაგრული აზერბაიჯანელი ქალის იაზის ღრმად დრამატული სახე, საბჭოთა სინამდვილისადმი მტრულად განწყობილი ობივატელი სკოლის დირექტორი (ალადადაშ ყურბანოვი), განსაკუთრებით კი ალი ყურბანოვის სახეში კლასობრივი მტერი კულაკი ჰაჯი ახმედი, მსახიობ მ. სანანის ბილწი და ყოყოჩი შარიფი და მსახიობ გ. სალაევის მიერ ბრწყინვალედ განსახიერებული კულაკი იბადი. ალმასის მცირერიცხოვან მომხრეთა შორის მხოლოდ უღარიბესი გლეხის, მოხუცი აფტილის როლია შედარებით დიდი მოცულობისა, თუმცა პიესაში ისიც რამდენადმე ძუნწად არის მოხაზული. მსახიობი მ. სადიხოვი ისეთი ადამიანური სითბოთი ავსებს როლის ამ ხარვეზს, რომ აფტილს პირველხარისხოვანი გმირის ემოციური ზეგავლენის ძალას ანიჭებს.

აქტიორთა თამაშის ასეთი ერთობლივი შემოქმედებითი დონე განპირობებულია არა მარტო შესანიშნავი ლიტერატურული საფუძვლით, არამედ იმითაც, რომ ეს პიესა თეატრის მიერ შესატყვისი მხატვრული სრულყოფით არის წარმოდგენილი და იდეურად მიმართულია ჩვენი სინამდვილისაკენ. ამ საერთო მიზანს დაუქვემდებარა რეჟისორმა სპექტაკლის მთლიანი გააზრება, მისი მხატვრული სახე, მსახიობთა თამაში და დეკორაციული გაფორმება (მხატვარი ნ. ფატულაევი), რომელშიც ფაქიზად არის შერწყმული ყოფითი დეტალები და თეატრალური პირობითობა.

ჯ. ჯაბარლის „ალმასი“ ერთ-ერთი საუკეთესო დადგმაა მ. აზიზბეკოვის სახელობის თეატრის საგასტროლო წარმოდგენათა შორის. მაგრამ მიუხედავად ამისა იგი, თუნდაც მეორე ჩინებულ სპექტაკლთან „ილიჩის ყურესთან“ ერთად, რა თქმა უნდა, ვერ ზიდავს თანამედროვეობის ასახვის საპატიო ტვირთს. ასე რომ მნიშვნელოვანი საუბარი თეატრსა და მაყურებელს შორის ჩვენს დღევანდელობაზე ჯერ კიდევ წინ არის.

**ელენე შაფათავა.**

* * *



**სურათზე:** სცენა პიესიდან „ილიჩის ყურე“. ჩინარი — მსახიობი ი. მამედოვი, შახლა — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი ლეილა ბედიტბეილი.

ფოტო გ. გოგოხიასი.

# რუსი ხალხის საუნჯე

### ი. ს. ტურგენევის თხზულებათა სრული კრებული

**სსრ კავშირის** მეცნიერებათა აკადემია შეუდგა დიდი რუსი მწერლის ი. ს. ტურგენევის თხზულებებისა და წერილების სრული კრებულის გამოშვებას.

წინა გამოცემებისაგან განსხვავებით ამ კრებულში პირველად იქნება შეკრებილი ი. ს. ტურგენევის ყველა მხატვრული ნაწარმოები, სტატიები, კრიტიკული შენიშვნები და სხვა მასალები, როგორც გამოქვეყნებული, ისე ხელნაწერებად დარჩენილი და გამოუქვეყნებელი, აგრეთვე მისი ექვსი ათასზე მეტი წერილი.

ი. ს. ტურგენევის თხზულებანი გამოცემული იქნება ორ სერიად. პირველ სერიაში, რომელიც 15 ტომისაგან შედგება, შევა ლექსები, პოემები, სცენები და კომედიები, რომანები და მოთხრობები, მათ შორის „მონადირის ჩანაწერები“, „რუდინი“, „მამები და შვილები“ და სხვ., აგრეთვე სტატიები, სიტყვები, თარგმანები.

მეორე სერიაში, რომელიც 13 ტომისაგან შედგება, შევა ი. ს. ტურგენევის წერილები, დაწერილი მის მიერ 50-ზე მეტი წლის განმავლობაში. ტურგენევის ეპისტოლარული მემკვიდრეობა წარმოადგენს ძვირფას ისტორიულ და ლიტერატურულ მასალას, რომელიც მოიცავს რუსეთის და დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს (1831-1883 წწ).

ორივე სერიის გამოცემა განხორციელდება 1960-1965 წლების განმავლობაში.

# ინგლისელი მთამსვლელი ქალები თბილისში

**თბილისში** სტუმრად არიან ცნობილი ინგლისელი მთამსვლელი ქალები ჯოის დანშიტი და ელეონორა ბეილი. ისინი მიემგზავრებიან ირანსა და ავღანეთში, სადაც ავლენ დემავენდის მწვერვალზე (5.604 მეტრი) და ჰინდუკუშის ერთ-ერთ „ექვსიათასიანზე“.

ჩვენი მთამსვლელი საზოგადოებრიობისათვის კარგადაა ცნობილი ქ-ნ ჯოის დანშიტის სახელი, რომლის ჩანაწერები დატოვებულია მის მიერ დაპყრობილ შვეიცარიის, საფრანგეთის, ახალი ზელანდიის ალპების მწვერვალებზე, კანადის კლდოვანი მთებისა და გიგანტური ჰიმალაის ექვსი ათას მეტრზე მაღალ პიკებზე. 1957 წელს, საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს, იგი სამთო სპორტის ოსტატებთან იოსებ კახიანთან, მიხეილ ხერგიანთან და სხვებთან ერთად ავიდა ევროპის უმაღლეს მწვერვალ იალბუზზე. მთებში წარმოშობილი მეგობრობა, რომელიც განმტკიცდა ინგლისში საბჭოთა მთამსვლელების შემდგომი საპასუხო ვიზიტით (საბჭოთა მთამსვლელების ჯგუფში ჩვენი თანამემამულეებიც იყვნენ), დღემდე გრძელდება.

ქ-ნი ელეონორა ბეილი საბჭოთა კავშირში პირველადაა. მას დაპყრობილი აქვს ავსტრიის, შვეიცარიის, თურქეთის ბევრი რთული მწვერვალი.

მეტად გულითად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა შეხვედრამ, რომელიც ა. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპურ კლუბში გაიმართა. აქ ისინი შეხვდნენ საბჭოთა მთამსვლელობის ვეტერანებს — სპორტის დამსახურებულ ოსტატებს ალექსანდრა ჯაფარიძეს, ივანე მარს, ახალგაზრდა მთამსვლელებს. კლუბის დირექტორმა ა. ივანიშვილმა სტუმრებს დაწვრილებით გააცნო საბჭოთა მთამსვლელობის განვითარების ისტორია, ქართველ მთამსვლელთა სპორტული მიღწევები.

ინგლისელმა მთამსვლელმა ქალებმა ინახულეს გამოჩენილი საბჭოთა მთამსვლელის ალიოშა ჯაფარიძის საფლავი და პატივი სცეს მის ხსოვნას.

ჯოის დანშიტმა და ელეონორა ბეილიმ გულითადი მადლობა გადაიხადეს გულთბილი მიღებისათვის. (საქინფორმი).

# პატიოსნად ეცხოვრა, არ სჯობდა?

### სასამართლოს დარბაზიდან

**ახალწლის** ღამეა. წალენჯიხის რაიონის სოფელი ჯვარი საზეიმოდ არის მორთული. ყველა ოჯახში ლხინი და ზეიმია.

მარტოხელა მოხუცი პელაგია ფიფიაც მოემზადა ახალი წლისათვის. მოხუცმა ნამცხვარი გამოაცხო, გოზინაყი გააკეთა და სუფრაზე ერთი ხელადა ღვინოც დადგა.

— ახალი წელია, ვინ იცის ვინ შემომილებს კარს, — ფიქრობს მოხუცი და კერასთან ფუსფუსებს.

მოხუცს თითქოს ნატვრა აუსრულდაო, გარეთ ჭიშკრის ჭრიალი გაისმა. მასპინძელს სახე გაებადრა.

— სტუმარი ღვთისაა, — ხმამაღლა თქვა მან.

ოდის კართან მამაკაცის ფეხის ხმა გაისმა.

— რომელი ხარ? — გასძახა მოხუცმა.

— ბებია პელაგია, მე ვარ, შენი გურამი.

— უი, შვილო, შენ გაგახარა ღმერთმა, რომ გამიხსენე მოხუცი, მოდი, შვილო, მოდი, შენზე ახლობელი და უკეთესი ვინ მომივა!

მოხუცმა კარი გააღო თუ არა, ოთახში ამღვრეული თვალებით შევარდა გურამ ფიფია, რომელსაც ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა. მან შესვლისთანავე კარი გადარაზა და მოხუცს ყელში სწვდა.

— აბა, ჩქარა, ფული.

— სადა მაქვს, შვილო, ფული, — ძლივს ამოიხრიალა მოხუცმა.

— მაშ არ იძლევი, — წამოიძახა მოძალადემ და მოხუცს სახეში ჩაარტყა. მოხუცი უგონოდ დაეცა იატაკზე. გ. ფიფია ეცა კარადას და ყველაფერი იატაკზე გადმოყარა. ფული მაინც ვერ იპოვნა. ამ დროს მოხუცმაც გაახილა თვალი. გ. ფიფიამ დანა იშიშვლა და ისევ მოხუცთან მიიჭრა.

— მაშ არ იტყვი, ბებერო, სადა გაქვს ფული შენახული? — დაუღრიალა მან უმწეო მოხუცს და დანით ჯერ თვალები ამოთხარა, შემდეგ კი ყელი გამოსჭრა. გვამი ლოგინთან მიათრია, დააწვინა და საბანი გადააფარა. ავაზაკმა ნივთები ჩემოდანში ჩაყარა, შემდეგ ფულსაც მიაგნო და ღამის სიბნელეში მიიმალა.

ამ გაუგონარმა მკვლელობამ და ძარცვამ აღაშფოთა რაიონის მშრომელები. წალენჯიხის რაიონის მილიციის და პროკურატურის ერთობლივად მიღებული ზომების შედეგად მძარცველი და მკვლელი გ. ფიფია შეპყრობილ იქნა. მან აღიარა ჩადენილი დანაშაული.

მკვლელი გურამ იოსების-ძე ფიფია ამას წინათ წარსდგა სამსჯავროს წინაშე. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა სესიამ ი. გოგაშვილის თავმჯდომარეობით და საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწის ქ. შაყულაშვილის მონაწილეობით განიხილა მკვლელის გ. ი. ფიფიას საქმე და მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

**ზ. მესხიშვილი.**

# ტალღებს გამოსტაცეს...

**კოკისპირულად** წვიმდა. მდინარე ილტო, ახმეტას ჩრდილო-დასავლეთით რომ ჩაუდის, ადიდდა. ვინ ცხენით, ვინ ურმით მივიდა მდინარის პირას, მაგრამ გასვლას ვერავინ ბედავდა. შეუძლებელიც იყო. ტრაქტორისტმა ვასილ ჯანიაშვილმა კი თავი „მოიწონა“ და ტრაქტორი, რომლის კაბინაში ორი გოგონა იყო, აქაფებულ მდინარეში შეიყვანა. ტრაქტორი მორევში ჩავარდა.

მდინარესთან დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი, მაგრამ ატირებული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ბავშვების შველას ვერავინ ბედავდა. ახმეტის ავტოსატრანსპორტო კანტორის ავტომძღოლმა გიორგი ნათელაურმა და სატყეო კომბინატის მუშამ ილია დედაბრიშვილმა თავი გასწირეს, ტანთ გაიხადეს და მდინარეში შეცურეს. ბევრი წვალების შემდეგ ბავშვები უვნებლად გამოიყვანეს მდინარის პირას.

ბავშვების მშობლებმა თედო და აბრამ ხოსროშვილებმა, მთელმა საზოგადოებამ მამაცებს მხურვალე მადლობა გადაუხადეს. (საქ. კორ.).

**ქუთაისი.** (საქ. კორ.). შუადღისას ძლიერ დაცხა... ოთხი წლის ტატიანა ჩერნოვა სახლიდან გაიპარა და იქვე ახლოს რიონის პირას მარტოდმარტომ დაიწყო თამაში. კენჭაობით რომ გული იჯერა, მერე მდინარეში კენჭებისა და ქვიშის გადაყრას მოჰყვა. გოგონას თვალები აუჭრელდა, შეტორტმანდა და წყალში გადავარდა.

ამას თვალი მოჰკრა არხის ქუჩაზე მცხოვრებმა ა. შენგელიამ, რომელმაც მომხდარი შემთხვევა მეზობლებს შეატყობინა. დიასახლისები შეცბნენ, ცურვა არავინ იცოდა. მაშინ ლალი ჯავახაძემ სწრაფად მოისაზრა — სასურსათო კიოსკთან მიირბინა და მამაკაცებს შველა სთხოვა, თვითონ კი „სასწრაფო დახმარებას“ გამოუძახა.

ალექსანდრე ქუთათელაძე მდინარისაკენ გაექანა, წყალში გადაეშვა და გრძნობადაკარგული ბავშვი ტალღებს გამოსტაცა. ბავშვს პირველი დახმარება იქვე აღმოუჩინეს, შემდეგ კი საავადმყოფოში წაიყვანეს.

პატარა ტატიანა ჩერნოვა დახრჩობას გადარჩა.

# იშვიათი ოპერაცია

**ამას** წინათ თბილისის მესამე სამშობიარო სახლში ქალთა კონსულტაციის მიმართვით მოვიდა მოქალაქე თ. სტ-ვა. ავადმყოფი ამჩნევდა მუცლის სწრაფ ზრდას, გრძნობდა სიმძიმეს და ტკივილებს მუცლის ქვედა არეში.

კლინიკურად პროფ. პ. შუშანიას მიერ დადასტურებულ იქნა საკვერცხეების ორმხრივი სიმსივნე. გადაწყდა ავადმყოფს სასწრაფოდ გაჰკეთებოდა ოპერაცია. ეს დაევალა ახალგაზრდა ექიმებს ზურაბ ხითარიშვილს (ოპერატორი) და ომარ მიქაბერიძეს (ასისტენტი).

ოპერაციამ კარგად, გაურთულებლად ჩაიარა. ავადმყოფს მუცლის ღრუში აღმოაჩნდა დიდძალი სითხე და ორი სიმსივნე. თვითეული ამოკვეთილი სიმსივნე ახალშობილი ბავშვის თავის (850-900 გრ.) ოდენა იყო.

როგორც სამშობიარო სახლის მთავარმა ექიმმა თ. ნაკაიძემ განაცხადა, ასეთი შემთხვევა კლინიკის მრავალი წლის არსებობის მანძილზე მესამეა.

თ. სტ-ვა კარგად გრძნობს თავს და უკვე გაეწერა.



**მრავალ** დამსვენებელს იზიდავს ბორჯომის ჯგუფის ერთ-ერთი შესანიშნავი კურორტი წაღვერი.

**სურათზე:** კურორტ წაღვერის საერთო ხედი.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

# მატჩი უნგრელ წყალბურთელებთან

უნგრეთში წყალბურთი № 1 სპორტად არის აღიარებული. შემთხვევით როდია, რომ უნგრელები სპორტის ამ სახეობაში ორჯერ იყვნენ ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონები და მრავალ ტურნირებში გამარჯვებულები.

ამიტომ იყო, რომ უნგრეთის ცნობილი კლუბის „დოჟას“ გუნდს თბილისში შეუნელებელი ინტერესით მოელოდნენ. უნგრელთა პირველი გამოსვლა მოეწყო გუშინ თბილისის ფიზკულტურის პარკის საზაფხულო საცურაო აუზში. მათ წინააღმდეგ თამაშობდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივი თბილისის „დინამო“.

მოწინააღმდეგეებს ორ-ორი წამყვანი მოთამაშე აკლდათ. ისინი შედიან თავიანთი ქვეყნების ნაკრებში და ოლიმპიური ასპარეზობისათვის ემზადებიან.

მატჩის დასაწყისშივე დინამოელთა ლამაზი კომბინაცია გოლით დაგვირგვინდა. იგი გაიტანა გუნდის კაპიტანმა გვახარიამ. მაგრამ 1 წუთის შემდეგ უნგრელმა წყალბურთელმა პინტერმა ისარგებლა მეკარე გოიაშვილის შეცდომით და გაათანაბრა ანგარიში. ამის შემდეგ თამაში მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით. ტაიმი დამთავრდა ფრედ 4:4.

შეჯიბრების მეორე ნახევარში ინიციატივა მეტწილად თბილისელთა მხარეზე იყო.

მატჩი დამთავრდა თბილისის დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 9:7. თბილისელებიდან ექვსი ბურთი გაიტანა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გვახარიამ, ორი — ჩხიკვაძემ და ერთი ავანესიანმა.

დღეს „დოჟას“ წყალბურთელთა გუნდი შეხვდება თბილისის „ბურევესტნიკს“.

## სპორტის ამბები

# დღეს „დინამოს“ სტადიონზე

**ახლა,** როდესაც საკავშირო ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელთა კოლექტივებისათვის ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი დადგა და უძლიერესთა ექვსეულში მოხვედრის საკითხი თითზე ჩამოსათვლელმა მატჩებმა უნდა გადაწყვიტოს, საერთაშორისო ასპარეზობები ინტერესს როდია მოკლებული.

და აი დღეს თბილისელი მაყურებლები „დინამოს“ სტადიონზე კიდევ ერთ, მიმდინარე სასპორტო სეზონში რიცხვით მეორე საერთაშორისო შეხვედრას იხილავენ. დინამოელთა წინააღმდეგ გამოვლენ ჰოლანდიის საკლუბო გუნდის „ფეიენორდის“ ფეხბურთელები. თუ ვიმსჯელებთ ჩვენი სტუმრების მიერ ლენინგრადში „ადმირალტეეცთან“ გამართული მატჩის მიხედვით, რომელიც ჰოლანდიელებმა მოიგეს ანგარიშით 1:0, უნდა ვიფიქროთ, რომ დღევანდელი შეხვედრა უთუოდ საინტერესო იქნება.

სტუმართა თამაშს ახასიათებს მაღალტექნიკურობა, კოლექტიურობა, დარტყმის სიძლიერე, ფიზიკური გამძლეობა, მათი ბრძოლის ტაქტიკა ინგლისურ ფეხბურთს მოგვაგონებს. ჩვენი სტუმრები ეკუთვნიან ჰოლანდიის ფეხბურთელთა პირველ ლიგას, წარმატებით გამოდიან ჩემპიონატებში და საერთაშორისო ასპარეზობის კარგი ტრადიცია აქვთ.

ფეხბურთი ჰოლანდიაში მიეკუთვნება სპორტის იმ სახეობას, რომელსაც საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. აქ 18 უძლიერესი კოლექტივის მონაწილეობით ყოველწლიურად ეწყობა ამ ქვეყნის პირველობის გათამაშება. იგი იწყება შემოდგომიდან და მომავალი წლის გაზაფხულზე მთავრდება. გათამაშება მიმდინარეობს წრიული სისტემით ორ წრედ.

ამ ჩემპიონატებში როტერდამის საკლუბო გუნდთან „ფეიენორდთან“ ერთად კარგად გამოდიან „უტრეხტი“, „ენსჰედე“, „აიაქსი“ და სხვა გუნდები.

საბჭოთა და ჰოლანდიელ ფეხბურთელთა საერთაშორისო მატჩებს არც თუ ისე დიდი ხანია ჩაეყარა საფუძველი. სსრ კავშირის ნაკრებმა საკავშირო ჩემპიონატის დაწყებამდე ჰოლანდიაში სამი მატჩი გამართა და სამივე მოიგო. ყველაზე საპატიო ანგარიშით ჩვენს ფეხბურთელებთან შეხვედრა დაამთავრეს როტერდამის „ფეიენორდის“ ფეხბურთელებმა. მათ წააგეს მატჩი მინიმალური ანგარიშით 0:1. ერთად-ერთი ბურთი ბოლო წუთებში გაიტანა პონედელნიკმა.

ჩვენს სტუმრებს ჰყავთ ძლიერი თავდამსხმელები, რომელთა შორის გამოირჩევიან გარემარბები, ცენტრალური თავდამსხმელი ვან დერ ჰაირი. კარგად თამაშობს მეკარე ჰრაფლანდი, მცველთა და ნახევარმცველთა მთელი ხაზი.

# „მცირე ოლიმპიადა“

**მსოფლიო** გუნდური პირველობის გათამაშება ჭადრაკში სტუდენტთა შორის დღითი-დღე საინტერესო ხდება. კვლავ შეუპოვარი ბრძოლა მიმდინარეობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის გუნდებს შორის, რომლებიც ლიდერობას არავის უთმობენ.

22 ივლისს გაიმართა ჩემპიონატის მეშვიდე ტური. სსრ კავშირის სტუდენტ მოჭადრაკეთა კოლექტივი ამ დღეს შეხვდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს. შეჯიბრება დამთავრდა საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ ანგარიშით 1,5:0,5. 2 პარტია გადადებულია.

ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეების წინააღმდეგ თამაშობდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის გუნდი. ამერიკელებმა შეჯიბრება ძლიერად ჩაატარეს და გაიმარჯვეს 3:0. 1 პარტია გადადებულია.

23 ივლისამდე გამართულ შეხვედრათა შედეგების მიხედვით ჩემპიონატის ლიდერია ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი, რომელსაც 27 შესაძლებლიდან 22 ქულა აქვს. სსრ კავშირის სტუდენტ მოჭადრაკეთა კოლექტივს 25 შესაძლებლიდან 19,5 ქულა აქვს.

# თერმომეტრი აღარ გატყდება...

**შუშისაგან** გაკეთებული თერმომეტრი, რომელიც ამჟამად ხმარებაშია, ადვილად ტყდება. ამ გარემოებით დაინტერესდა ქუთაისელი ექიმი, დ. ნარეშელაშვილი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შესაძლებელია შუშის თერმომეტრი უფრო პრაქტიკული და მკვიდრი მასალით — პლასტმასით შეიცვალოს.

ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმისათვის საჭირო იყო თერმომეტრი გამჭვირვალე თეთრი პლასტმასისაგან დამზადებინათ და, რაც მთავარია, განესაზღვრათ მისი სითბოგამტარობისა და ვერცხლისწყლის შეთვისების ისეთივე უნარი, რაც შუშას აქვს.

ექიმმა დ. ნარეშელაშვილმა ამ საკითხების გადასაწყვეტად დახმარებისათვის მიმართა თბილისის პლასტმასის ქარხანას, რომლის ტექნოლოგები და სხვა სპეციალისტები დიდი ინტერესით მოეკიდნენ ქუთაისელი ექიმის ნოვატორულ აზრს. ქარხანაში ჩატარებულმა ხანგრძლივმა ცდებმა სასურველი შედეგი გამოიღო — შეიქმნა გამჭვირვალე თეთრი პლასტმასისაგან დამზადებული არამსხვრევადი თერმომეტრი. ამ თერმომეტრმა შემდეგში სათანადო გამოცდა გაიარა თბილისისა და ქუთაისის სამკურნალო დაწესებულებებში და ყოველთვის ზუსტად უჩვენა ადამიანის ტემპერატურა.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭომ მოიწონა პლასტმასის თერმომეტრი და იგი რეკომენდებულ იქნა სერიული წარმოებისათვის.

წელს ქ. კლინის თერმომეტრების ქარხანა შეუდგება პლასტმასისაგან დამზადებული ახალი თერმომეტრების გამოშვებას.

**შ. ჯავახაძე,**
**ი. ბუხაიძე.**

# ამინდი

25 და 26 ივლისს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, 25 ივლისს უნალექოდ, 26 ივლისს სანაპირო რაიონებში ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 15-20, დღისით 25-30 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 9-14, დღისით 20-25 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 13-18, დღისით 25-30 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 7-12, დღისით 19-24 გრადუსი.

# საერთაშორისო შეხვედრები

**მოსკოვი.** სტუმრად იმყოფება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქ. შენიანის ფეხბურთელთა გუნდი. 22 ივლისს ჩინელმა სპორტსმენებმა მოსკოვში გამართეს საერთაშორისო შეჯიბრება სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონთან დედაქალაქის „სპარტაკთან“. შეხვედრა აღინიშნა სპარტაკელთა უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 5:0.

**კიშინიოვი.** საერთაშორისო მატჩების გასამართავად ჩამოვიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ფეხბურთელთა კოლექტივი. 22 ივლისს ჩვენმა სტუმრებმა კიშინიოვში მოაწყეს საერთაშორისო შეხვედრა ადგილობრივ „მოლდოვასთან“. კიშინიოველებმა ასპარეზობა მაღალ დონეზე ჩაატარეს და გაიმარჯვეს, 2:0.

**სტალინო.** სტუმრად ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელთა საკლუბო გუნდი „მოტორი“. გერმანელმა ფეხბურთელებმა 22 ივლისს სტალინოში გამართეს საერთაშორისო ამხანაგური ასპარეზობა „შახტიორთან“. ბრძოლა დაძაბული და შეუპოვარი იყო და დამთავრდა „შახტიორის“ გამარჯვებით ანგარიშით 3:2.

# ვ. ს. გერსამია — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი



**თბილისის** სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული და სანიტარულ-ჰიგიენური ფაკულტეტების ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის გამგემ ვ. ს. გერსამიამ ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ახალი სამკურნალო საშუალებანი საქართველოს სსრ მცენარეული ნედლეულიდან და მათი თერაპიული მნიშვნელობა“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ვ. ს. გერსამიასათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი.**

24 ივლისი

**თეატრები:** ფილარმონიის საზაფხულო — ელია კასანოვასის (მექსიკა) კონცერტი საესტრადო ორკესტრის თანხლებით.

**კინოები:** რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, თბილისი, საქართველო (მწვანე დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კლუბი (საზამთრო), კიროვის სახელობის პარკი — გაზაფხული — დიდი ვალსი, ამირანი (საზაფხულო), ისანი (საზამთრო), სპარტაკი, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი (საზაფხულო), ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი, საქართველო (წითელი დარბაზი) — მუნდირის ძალა, ისანი (საზაფხულო), ყაზბეგი, სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი — ეს იყო გაზაფხულზე, კომკავშირელი — გუშინ რიო დე ჟანეიროდან.

**ტელევიზია:** დღისით გადაცემა მოსწავლეთათვის 12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 12,15 — გადაცემა — „გაცოცხლებული ნახატები“, 12.45—ახალი მხატვრული ფილმი—„სამგზის აღმდგარი“, საღამოს 18.10 — ფეხბურთში საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრის რეპორტაჟი ერთმანეთს ხვდებიან „ფეიენორდი“ (ამსტერდამი — ჰოლანდია) და „დინამო“ (თბილისი), 20.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 20.15 — კონცერტი მაყურებელთა თხოვნით, 20.55 — გადაცემა ციკლიდან — „საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავის შესახვედრად“ მხატვრულ-დოკუმენტალური კინონარკვევი „დავით მახარაძის ოჯახი“ (თბილისის ტელესტუდიის გამოშვება), 21.05 — მხატვრული ფილმი — „ტრამვაი მოიპარეს“.

**ჩვენი მისამართი და ტელეფონები:** თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშ ოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

უე 04215

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.